# ახალი განათლება

1 – 7 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№28 (702) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# თავგადასავალი „მასწავლებლურ სამოთხეში“



პროფესია მასწავლებელი

*რუბრიკის სტუმარია უწერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლელა კოტორაშვილი, რომელიც რაჭის მაღალმთიან სოფელში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის“ ჩავიდა, რადგან მისთვის ეს პროგრამა კეთილშობილური მიზნის მქონე მოვლენას წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემაში. რამდენიმეწლიანმა მუშაობამ მაღალმთიან სკოლაში მას წელს კიდევ ერთი კეთილშობილური ნაბიჯი გადაადგმევინა – წელს უწერის სკოლის ერთადერთი პირველკლასელი სწორედ მისი შვილი აღმოჩნდა – „ცხოვრება ხანდახან გვთავაზობს გამოწვევას, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღო“ – ამბობს ის.*

გვერდი 5

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

## შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებისათვის ახალ პროექტს იწყებს

პროექტის იდეა გამოცდის ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატის დანერგვასთან ერთად გაჩნდა.

ცენტრი მსურველებს საშუალებას აძლევს, გამოსცადონ საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები გამოცდის ახალ ფორმატთან მიახლოებულ პირობებში.

წინასწარ გამოქვეყნებულ ვადებში, სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება სავალდებულო და არჩევითი გამოცდების ტესტების ელექტრონული ვერსიები, რომელთა გაცნობა ყველა მსურველს უსასყიდლოდ შეეძლება.

ელექტრონული ვერსიები რამდენიმე დღის განმავლობაში იქნება განთავსებული, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი გამოქვეყნდება სწორი პასუხები.

მონაწილეს შესაძლებლობა ექნება საკუთარ (ან სკოლის) კომპიუტერთან შეასრულოს მოცემული დავალება, სურვილის შემთხვევაში კი საგამოცდო ფორმატი (მონიტორიდან წაკითხული ტესტის შესრულება, დროის ათვლა, განაწილება და ა.შ.) სრულად გაიმეოროს.

პროექტი, ამავე დროს, დამატებით მომსახურებას სთავაზობს მონაწილეებს – თუ აბიტურიენტი გარკვეულ საფასურს გადაიხდის, ცენტრი ნაშრომების გასწორებას, სურვილის შემთხვევაში კი, გათანაბრებული და სკალირებული ქულების დათვლას უზრუნველყოფს. მინიმუმ 4 გამოცდის არჩევისას მონაწილეს, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შეეძლება მიღებული შედეგები წინა წლის საკონკურსო ქულებს შეადაროს. ამისათვის ჩამონათვალიდან სასურველი ფაკულტეტები უნდა აირჩიოს. ამის შემდეგ კი ეკრანზე გამოჩნდება მისი საკონკურსო ქულა იმ ფაკულტეტისათვის, რომელიც მან აირჩია და 2015 წელს შესაბამის ფაკულტეტზე ჩარიცხულთა მინიმალური საკონკურსო ქულა. ცხადია, მიმდინარე წელს კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის პროგნოზირებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენება მიზანშეუწონელია (საკონკურსო ქულები 2015-2016 წელს შესაძლებელია სრულიად განსხვავებული იყოს), თუმცა აბიტურიენტს არჩევანის ოპტიმალურად გაკეთებასა თუ წინასაგამოცდო პროცესის სწორად დაგეგმვაში დაეხმარება.

შეთავაზებით სარგებლობა შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც გადაიხდის შესაბამის საფასურს, გაივლის რეგისტრაციას, აირჩევს გამოცდებს, მიუთითებს საქართველოს ფოსტის ფილიალს, სადაც მიიღებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული პასუხების ფურცლების იდენტურ ფურცლებს და დეტალურ ინსტრუქციას.

ტესტების გამოქვეყნების შემდეგ მონაწილე დავალებების პასუხებს საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად გადაიტანს ფურცელზე, შევსებულ ფურცლებს კი მოათავსებს კონვერტში და იმავე საფოსტო განყოფილებაში მიიტანს.

ნაშრომების გასწორების შემდეგ პროექტის მონაწილე საკუთარ გვერდზე იხილავს შედეგებს, გათანაბრებულ ქულებს, სკალირებულ ქულებს, 4 გამოცდის არჩევის შემთხვევაში კი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ფაკულტეტებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა ექნებოდა 2015 წელს მიღებული შედეგებით.

პროექტი გაზაფხულიდან დაიწყება და ნებისმიერ მსურველს შეეძლება მონაწილეობა. ოქტომბერ-ნოემბერში კი დაგეგმილია პილოტირება ქუთაისისა და ჩოხატაურის მე-12 კლასელთათვის.

ამ მუნიციპალიტეტების საჯარო თუ კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეები არა მხოლოდ ტესტს და სწორ პასუხებს გაეცნობიან, არამედ საცდელი რეჟიმიდან გამომდინარე, სრულიად უფასოდ მიიღებენ მომსახურებას, რომელიც მათი ნაშრომების გასწორებას ითვალისწინებს.

ოფიციალური დოკუმენტი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

## განათლების პირველი მცნება – მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპი

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

გვერდი 6

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

## პედაგოგებისა და მასწავლებლობის მსურველთა რეგისტრაცია საგნის გამოცდისათვის

რეგისტრაცია საგნის გამოცდისათვის 30 სექტემბერს დაიწყო და 13 ოქტომბერს 18:00 საათამდე გაგრძელდება. გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს:

- პრაქტიკოს მასწავლებელს;
- ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული (შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის) აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
- მასწავლებლობის მსურველს, რომელსაც დიპლომის საფუძველზე აქვს მასწავლებლობის უფლება.

გამოცდას აპლიკანტები იანვარში ჩააბარებენ. გამოცდები ჩატარდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები); მათემატიკა (I-VI კლასები); ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII კლასები); ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები); მათემატიკა (VII-XII კლასები); ისტორია; გეოგრაფია; სამოქალაქო განათლება; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ინგლისური; გერმანული; ფრანგული; რუსული; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2016 წლიდან პედაგოგებს საგნის გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა წელიწადში ორჯერ – ზამთარსა და ზაფხულში ექნებათ. **მუსიკისა და სპორტის მასწავლებლები გამოცდებისათვის რეგისტრაციას გაზაფხულზე შეძლებენ. მათ საშუალება ექნებათ საგნის გამოცდა ივლისის თვეში ჩააბარონ.**

ყველა აპლიკანტს საშუალება აქვს დარეგისტრირდეს ელექტრონულად ვებგვერდებზე: www.naec.ge და www.online.naec.ge. პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის რეგისტრაცია უფასოა.

**დამხმარე კრებულები პედაგოგებისათვის განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე:**
**www.naec.ge**

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური
თბილისი, 0186 მინდელის ქ. №9; ტელ.: +99532 2473333 www.naec.ge
საკონტაქტო პირი: თეიკო ანჯაფარიძე, ტელ.: 577 500 935

## აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თხუთმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, იმუშავებენ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან 2016-2018 სასწავლო წლების განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი** (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), **მცხეთა-მთიანეთი** (სტეფანწმინდის გარდა), **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**. სოფლებიდან და ქალაქებიდან, რომლებიც განლაგებულია ადმინისტრაციული საზღვრიდან 5კმ-იან ზონაში, განაცხადები არ განიხილება.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **24 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2016-2018 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა მასპინძელი ოჯახის განაცხადებთან ერთად და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმების ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან:

http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/966

**სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 18 ოქტომბერი, 2015 წელი.**

### დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით

ასმათ სიხარულიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (აღმოსავლეთი)
ტელ: 595906444;
თეო ნეფარიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (დასავლეთი)
ტელ: 599147047;
ნინო ფიროსმანიშვილი – პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

**ოფიციალური დოკუმენტი**

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №126/ნ

2015 წლის 28 სექტემბერი — თბილისი

### საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, დადგინდეს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანება.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრი**
**თამარ სანიკიძე**

**დანართი**

**საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები**

**თავი I**

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს დანართი არეგულირებს საჯარო სკოლების (შემდგომში – სკოლა) მასწავლებელთა (შემდგომში – მასწავლებელი) შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას და პირობებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში – სქემა) განსაზღვრული სტატუსი – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე, მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) მასწავლებელი – „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) სერტიფიცირებული მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი;

დ) პრაქტიკოსი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

ე) უფროსი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

ვ) წამყვანი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ზ) მენტორი – მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას.

**თავი II**

**მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები**

**მუხლი 3. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება**

1. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს:

ა) თანამდებობრივ სარგოს;

ბ) თანამდებობრივ სარგოზე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანამატებს.

2. მასწავლებელს თანამდებობრივ სარგოზე შეიძლება მიეცეს:

ა) კლასკომპლექტით სწავლების დანამატი;

ბ) დანამატი არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ერთ-ერთი შემდეგი საგნის სწავლებისათვის: ბ.ა) ქართული, როგორც მეორე ენა;

ბ.ბ) საქართველოს ისტორია;

ბ.გ) საქართველოს გეოგრაფია;

გ) კლასის დამრიგებლობის დანამატი;

დ) მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი;

ე) სრულ განაკვეთზე მეტი დატვირთვის დანამატი;

ვ) სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანამატი მასწავლებელს მიეცემა მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვების შემთხვევაში.

**მუხლი 4. მასწავლებლის შრომის ანაზღაურების სქემის დახასიათება**

მასწავლებლის შრომის ანაზღაურების სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის თანამდებობრი-

ვი სარგოების და თანამდებობრივ სარგოებზე დანამატების გაანგარიშებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობა (შემდგომში – სამუშაო სტაჟი);

გ) სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა);

დ) სამუშაოს სპეციფიკა:

დ.ა) კლასკომპლექტი;

დ.ბ) არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება;

დ.გ) კლასის დამრიგებლობა;

დ.დ) მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვა;

დ.ე) სამუშაო დატვირთვა სამუშაო საათების მიხედვით;

ე) სქემით განსაზღვრული სტატუსი.

**მუხლი 5. მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია**

1. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშებისას განსაზღვრულია მასწავლებლის განათლებისა და კვალიფიკაციის ხუთი საფეხური და შემდეგი კოეფიციენტები:

ა) სრული ზოგადი განათლება – 0.8;

ბ) პროფესიული განათლება– 0.9;

გ) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი – 1.0;

დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი – 1.1;

ე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი – 1.2.

2 . თითოეული საფეხურისათვის მინიჭებული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე („ა“) გადამრავლებით განისაზღვრება მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო ქვემოთ მოყვანილი ფორმულის („ბ“) მიხედვით:

ა) საბაზო თანამდებობრივი სარგო უტოლდება 355 ლარს;

ბ) Sal(m) = Sal(b)*Ed(c) + Sal(b)*Ed(c)*WS(c) + Sal(b)*WE(c)*WS(c), სადაც:

Sal(m) = გასაანგარიშებელი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი;

Sal(b)= ერთი თვის საბაზო თანამდებობრივი სარგო (355 ლარი);

Ed(c) = მასწავლებლის განათლების შესაბამისი კოეფიციენტი;

WS(c) = მასწავლებლის სამუშაო დატვირთვის კოეფიციენტი (0.15 კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად);

WE(c )= მასწავლებლის სამუშაო სტაჟის შესაბამისი კოეფიციენტი.

3. ამ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანამატები გამოიანგარიშება შესაბამისი კოეფიციენტების საბაზო თანამდებობრივ სარგოზე გადამრავლებით და არ არის მოცემული ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმულაში.

**მუხლი 6. სამუშაო სტაჟი**

1. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშებისას განსაზღვრულია მასწავლებლის სამუშაო სტაჟის სამი საფეხური და შემდეგი კოეფიციენტები:

ა) 5 წლამდე – 0.2;

ბ) 5-დან 10 წლის ჩათვლით – 0.5;

გ) 10 წლის ზემოთ – 0.6.

2. თითოეული საფეხურისათვის მინიჭებული შესაბამისი კოეფიციენტი მასწავლებლის განათლებისა და სამუშაო დატვირთვის კოეფიციენტებთან ერთობლიობაში განსაზღვრავს მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს განაკვეთს.

3. 5 წლამდე სამუშაო სტაჟის მქონე მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრულია წინამდებარე დანართის პირველ დანართში, 5-დან 10 წლამდე – მე-2 დანართში, ხოლო 10 წლის ზევით – მე-3 დანართში.

**მუხლი 7. სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა)**

მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშებისას, მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა, სამუშაო დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება 0,15-ით.

**მუხლი 8. მასწავლების სამუშაოს სპეციფიკა**

1. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით გაანგარიშებისას, მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატების (გარდა ამ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანამატებისა) კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) კლასკომპლექტით სწავლება – 0.1;

ბ) არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის ან/და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება – 0.1;

გ) კლასის დამრიგებლობა – 0.25;

დ) მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვა – 0.08.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატები არ არის დამოკიდებული მასწავლებლის განათლებაზე ან/და კვალიფიკაციაზე ან/და სამუშაო სტაჟზე.

**მუხლი 9. შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა**

მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა, სრული დატვირთვის შემთხვევაში, განისაზღვრება 337 ლარით და 25 თეთრით.

**მუხლი 10. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი**

1. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი ეძლევა მასწავლებელს:

ა) რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი და შესაბამის საფეხურზე ასწავლის იმ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

ბ) რომელიც სქემაში განაწილდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული წესით და:

ბ.ა) არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

ბ.ბ) აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით, ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობა:

ა) უფროსი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 160 ლარით;

ბ) წამყვანი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 250 ლარით;

გ) მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის განისაზღვრება 300 ლარით.

3. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) მასწავლებლისათვის იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სრული ოდენობების 13-თან შეფარდებით და შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე გადამრავლებით (მძიმიდან მარჯვნივ ასეულის სიზუსტის დამრგვალებით). ამ პუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სრულ ოდენობას.

4. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების მასწავლებლისათვის იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სრული ოდენობების 15-თან შეფარდებით და შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე გადამრავლებით (მძიმიდან მარჯვნივ ასეულის სიზუსტის დამრგვალებით). ამ პუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სრულ ოდენობას.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. უცხო ენის მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი უცხო ენისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ საჯარო სკოლაში, ამ მუხლით გათვალისწინებული სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი მიეცემა თითოეულ საჯარო სკოლაში სწავლებისათვის.

**მუხლი 11. მასწავლებლის სამუშაო საათები**

1.მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო გამოითვლება სამუშაო საათების მიხედვით.

2. სამუშაო საათების მიხედვით არსებობს 3 ტიპის სამუშაო დატვირთვა:

ა) ნაწილობრივი დატვირთვა – გულისხმობს 36-ზე ნაკლებსაათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში;

ბ) სრული დატვირთვა – გულისხმობს 36-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 საგაკვეთილო საათი კვირაში;

გ) სრულზე მეტი დატვირთვა გულისხმობს 40-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 19 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში.

3. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება თანამდებობრივი სარგო და თანამდებობრივ სარგოზე დანამატები (გარდა სადამრიგებლო დანამატისა). მაგალითად: თუ მასწავლებელი ატარებს 10 საგაკვეთილო საათს, მაშინ მისი თანამდებობრივი სარგო=სრული დატვირთვის თანამდებობრივი სარგო (დანამატების ჩათვლით), შეფარდებული18*10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა), ხოლო მისი სამუშაო დატვირთვა=10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა)*2-ზე.

4. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე კვირაში 5 ლარის ოდენობით.

5. მასწავლებლისათვის თანამდებობრივი სარგოს მიცემა სამუშაო საათების მიხედვით არ ნიშნავს, რომ იგი საგაკვეთილო საათების, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისათვის საჭირო დროის გარდა აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს, მისი სამუშაოს ნაწილი – პროფესიულ განვითარებაზე მუშაობა, გაკვეთილებისათვის მომზადება და სხვა, შეასრულოს სკოლის გარეთ. თუ სკოლის დირექცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით სამუშაო კვირისათვის გათვალისწინებული საათების ფარგლებში სკოლაში მუშაობა, სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

6. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირებისა (გარდა მასწავლებლისა და საინფორმაციო მენეჯერისა) და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საგაკვეთილო საათს. საინფორმაციო მენეჯერის სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 16 საგაკვეთილო საათს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით, გამონაკლისი დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში მასწავლებლის შრომის ანაზღაურება გამოითვლება ამ დანართით დადგენილი წესით.

**მუხლი 12. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება არდადეგების პერიოდში**

მასწავლებელს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში უნარჩუნდება ამ დანართით დადგენილი წესით გაანგარიშებული შრომის ანაზღაურება.

**მუხლი 13. მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაანგარიშების მაგალითი**

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს სრული დატვირთვის მქონე უფროსი მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გამოთვლის გზებს:

ა) რომელსაც აქვს:

ა.ა) მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება;

ა.ბ) 10-წლიანი სამუშაო სტაჟი;

ბ) რომელიც ასწავლის საქართველოს ისტორიას არაქართულენოვან სკოლაში და არის კლასის დამრიგებელი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაანგარიშების უმარტივესი გზა:

ა) დანართი №2, სადაც მოცემულია 5-დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოები (ჩვენს შემთხვევაში მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 475,70 ლარს);

ბ) დანართი №4, სადაც მოცემულია სწავლება კლასკომპლექტით, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები (ჩვენს შემთხვევაში დანამატი შეადგენს 35,5+88,75=124,25 ლარს);

გ) უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი, რომელიც შეადგენს ამ ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ოდენობას;

დ) უნდა შეიკრიბოს ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები (475,70 +124,25+160=759,95 ლარი), ანუ მასწავლებლის ერთი თვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 759,95 ლარს.

3. აღნიშნული უფროსი მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გამოთვლა ასევე შეიძლება ზემოთ მოყვანილი ფორმულის მეშვეობითაც. ამ შემთხვევაში შესაბამის დანართებში მოცემული კოეფიციენტების გამოყენებით უნდა შესრულდეს მარტივი არითმეტიკული მოქმედებანი. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში:

ა) 355*1,1+355*1,1*0,15+355*0,5*0,15=475,70 ლარი (დანართი №2);

ბ) 475,70+160= 635,7 ლარი;

გ) 355*0,1+355*0,25=124,25 ლარი (დანართი №4);

დ) უნდა შეიკრიბოს ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები 635,70+124,25=759,95 ლარი.

## თავი III
## გარდამავალი დებულებები

**მუხლი 14. მასწავლებლის ხელფასის შენარჩუნება**

1. სქემაში განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე შესაძლებელია ეძლეოდა შემდეგი დანამატი/დანამატები: ა) სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატი;

ბ) მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატი;

გ) საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატი.

→ 4

## ოფიციალური დოკუმენტი

2. თუ სქემაში განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანამატი/დანამატები, რის გამოც მასწავლებლის შრომის ანაზღაურების დაანგარიშების დროისათვის არსებული მასწავლებლის საგაკვეთილო დატვირთვის შესაბამისად გაანგარიშებული მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი არის სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატის ამ დანართით გათვალისწინებული წესით გაანგარიშებულ ოდენობაზე, სქემაში განაწილების შემდგომ, მას შეუნარჩუნდება ამ თავით დადგენილი წესით გაანგარიშებული მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის შესაბამისი ოდენობა.

**მუხლი 15. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებლისა და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) მასწავლებლის დანამატები**

1. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებელს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა და ასწავლის დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში, ასევე რომელსაც აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიურად მიეცემა დანამატი, რომლის სრული ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

2. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებლის და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) მასწავლებლის დანამატები იანგარიშება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სრული ოდენობის 13-თან შეფარდებით და შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე გადამრავლებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით განეკუთვნება საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, კვირაში 13 და მეტი საგაკვეთილო საათით დატვირთვის შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგო შეევსება 1000 ლარამდე, ამ დანართით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოსა და თანამდებობრივ სარგოზე დანამატის გათვალისწინებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს თანამდებობრივი სარგო შეევსება 1000 ლარამდე იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია 13 საგაკვეთილო საათზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობები იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებლის და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) მასწავლებლის დანამატების სრული ოდენობების მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

**მუხლი 16. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებლის და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I -VI) კლასებისა და საბაზო/საშუალო საფეხურების მასწავლებლის დანამატები**

1. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა და ასწავლის შესაბამის საგანს დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებსა) და საბაზო/საშუალო საფეხურებზე, ასევე რომელსაც აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიურად მიეცემა დანამატი, რომლის სრული ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

2. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასების) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებლის და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების მასწავლებლის დანამატები იანგარიშება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სრული ოდენობის 15-თან შეფარდებით და შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე გადამრავლებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით განეკუთვნება საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, კვირაში 15 და მეტი საგაკვეთილო საათით დატვირთვის შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგო შეევსება 1000 ლარამდე, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოსა და თანამდებობრივ სარგოზე დანამატის გათვალისწინებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს თანამდებობრივი სარგო შეევსება 1000 ლარამდე იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია 15 საგაკვეთილო საათზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობები იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებლის და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების მასწავლებლის დანამატების სრული ოდენობების მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

5. სერტიფიცირებული მასწავლებლის და საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატების განსაზღვრა, ასევე თანამდებობრივი სარგოს 1000 ლარამდე შევსება I-XII კლასების სერტიფიკატის მფლობელი მასწავლებლისათვის, და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სერტიფიცირებული მასწავლებლისათვის, განხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

**მუხლი 17. საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატი**

1. ამ დანართის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით და მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილი, ყოველთვიურად მიეცემა საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატი.

2. საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატის სრული ოდენობა შეადგენს 75 ლარს.

3. საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატი იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობის 15-თან შეფარდებით და შესაბამის საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე გადამრავლებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებლის დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

**მუხლი 18. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებლის, დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატების გაანგარიშება მასწავლებლის მიერ ორ ან მეტ საჯარო სკოლაში სწავლების შემთხვევაში**

დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებულ მასწავლებელს, დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებულ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ საჯარო სკოლაში ამ დანართის მე-15 მუხლით ან/და მე-16 მუხლით გათვალისწინებული, იმავე მუხლებით დადგენილი წესით გაანგარიშებული დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) სერტიფიცირებული მასწავლებლის, დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასებისა) და საბაზო/საშუალო საფეხურების სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატი მიეცემა თითოეულ საჯარო სკოლაში სწავლებისათვის.

დანართი №1

0-დან 5 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

| განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო სტაჟი | | კოეფიციენტები | მასწავლებელი |
|---|---|---|---|
| | | | სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა) |
| კოეფიციენტი | | | 0.15 |
| განათლება და კვალიფიკაცია | | | ლარი |
| 1 | სრული ზოგადი განათლება | 0.8 | 337.25 |
| 2 | პროფესიული განათლება | 0.9 | 378.08 |
| 3 | ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.0 | 418.90 |
| 4 | მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.1 | 459.73 |
| 5 | დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.2 | 500.55 |
| სამუშაო სტაჟი X | | | |
| 6 | X5 წელი | 0.2 | |
| | საბაზო თანამდებობრივი სარგო= 1 თვე | 355 | |

დანართი №2

5-დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

| განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო სტაჟი | | კოეფიციენტები | მასწავლებელი |
|---|---|---|---|
| | | | სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა) |
| კოეფიციენტი | | | 0.15 |
| განათლება და კვალიფიკაცია | | | ლარი |
| 1 | სრული ზოგადი განათლება | 0.8 | 353.23 |
| 2 | პროფესიული განათლება | 0.9 | 394.05 |
| 3 | ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.0 | 434.88 |
| 4 | მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.1 | 475.70 |
| 5 | დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.2 | 516.53 |
| სამუშაო სტაჟი X | | | |
| 6 | 5 წელი < X≤10 წელი | 0.5 | |
| | საბაზო თანამდებობრივი სარგო= 1 თვე | 355 | |

დანართი №3

10 წლის ზემოთ სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

| განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო სტაჟი | | კოეფიციენტები | მასწავლებელი |
|---|---|---|---|
| | | | სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა) |
| კოეფიციენტი | | | 0.15 |
| განათლება და კვალიფიკაცია | | | ლარი |
| 1 | სრული ზოგადი განათლება | 0.8 | 358.55 |
| 2 | პროფესიული განათლება | 0.9 | 399.38 |
| 3 | ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.0 | 440.20 |
| 4 | მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.1 | 481.03 |
| 5 | დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი | 1.2 | 521.85 |
| სამუშაო სტაჟი X | | | |
| 6 | X > 10 წელი | 0.6 | |
| | საბაზო თანამდებობრივი სარგო= 1 თვე | 355 | |

დანართი №4

მასწავლებელთა თანამდებობრივ სარგოებზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე

| კლასკომპლექტით სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში) | არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში) | კლასის დამრიგებლობის დანამატი | მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი |
|---|---|---|---|
| 0.1 | 0.1 | 0.25 | 0.08 |
| 35.5 | 35.5 | 88.75 | 28.4 |
| | | | |
| საბაზო თანამდებობრივი სარგო= 1 თვე | 355 | | |

პროფესია მასწავლებელი

# თავგადასავალი „მასწავლებლურ სამოთხეში“

*პირველი გვერდიდან*

## გზა უწერამდე

მასწავლებლების ოჯახში გავიზარდე. დედა ინგლისური ენის პედაგოგია, მამა ისტორიკოსი მყავდა. ახლა რომ ვაანალიზებ წარსულს, მშობლების ადამიანებისადმი დამოკიდებულებებმა ითამაშა უდიდესი როლი, რომ მე დღეს მასწავლებელი ვარ. თუმცა, ეს გადაწყვეტილება გააზრებულად მოგვიანებით მივიღე, როცა საკუთარი შვილების აღზრდაში გავატარე რამდენიმე წელი და მივხვდი, რომ ბავშვებთან გატარებული დრო და დახარჯული ენერგია ბუმერანგივით უკან მიბრუნდებოდა. საკუთარ თავზე მუშაობამ კი დამანახა, რომ ეს ის პროფესიაა, რითაც შემიძლია ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩემი მოქალაქეობრივი ვალი შევასრულო. ცოტა პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ გულწრფელი ვარ.

უწერა ჩემი ქმრის სოფელია. ბავშვების გამო ხშირად ვსტუმრობდით და დიდ დროს ვატარებდი აქ. ერთხელაც მე და ჩემი გოგო სკოლას ვესტუმრეთ. მახსოვს, დირექტორმა მეშვიდე კლასში შეგვიყვანა. ისტორიის გაკვეთილი უტარდებოდათ სკოლის ბიბლიოთეკაში. გაკვეთილზე სულ სამნი ისხდნენ. ეს შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მომინდა, მეც მათი ნაწილი ვყოფილიყავი. იმ დღეს დამებადა აზრი, დამეტოვებინა თბილისი და მონაწილეობა მიმეღო პროგრამაში, რომელიც მაღალმთიან სოფლებში მასწავლებლებს გზავნიდა. თავიდან ოჯახის წევრებს აბსურდულად ეჩვენებოდათ ეს ყოველივე, მაგრამ ჩემმა უდიდესმა სურვილმა მათ აზრი შეაცვლევინა და გვერდში დამიდგნენ. მთავარი ფაქტორი მაინც ის იყო, რომ ბავშვები სუფთა ჰაერზე გაიზრდებოდნენ, გაუკაჟდებოდათ ჯანმრთელობა, ნატურალურ პროდუქტებს მიიღებდნენ და იმ სითბოთი და სიყვარულით იქნებოდნენ განებივრებულები, რაც სოფელს ახასიათებს.

ჩემთვის ეს იყო გამოწვევა – თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის შემდეგ, სოფლის სკოლაში სწავლება საინტერესო იქნებოდა.

## პროგრამით წამოწყებული თავგადასავალი

„ასწავლე საქართველოსთვის“ განათლების სამინისტროს პროგრამაა, რომლის მიზანი მაღალმთიანი სკოლების კვალიფიციური კადრებით შევსებაა. სოფლის ცხოვრების ყოველდღიურობისთვის ძნელად მოსარგებია, რომ მასწავლებელმა ტრენინგზე იაროს, სიახლეებს გაეცნოს. პროგრამის მონაწილეებს წინასწარ გვიტარდება ტრენინგები, სადაც ვეცნობით სწავლა-სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომელიც შემდეგ საგაკვეთილო პროცესში უნდა დავნერგოთ. არასდროს მომბეზრდება იმის გამეორება, რომ ეს ერთ-ერთი კეთილშობილური მიზნების მქონე მოვლენაა საგანმანათლებლო სისტემაში. პროგრამა რამდენიმე წელია არსებობს და 150-ზე მეტი მონაწილე ჰყავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. პირადად ჩემთვის კი, პროგრამა აღმოჩნდა საინტერესო თავგადასავალი, ჩემამდე მოიყვანა უამრავი ადამიანი, პიროვნულად გამაძლიერა და გამზარდა, როგორც პროფესიონალი.

ჩემი მასწავლებლური ცხოვრების გზა თბილისის წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში დაიწყო, რომელმაც დიდი გამოცდილება, საუკეთესო ურთიერთობები და ადამიანები მაჩუქა. უწერას სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი, შეთავსებული მაქვს ინგლისური ენის საათებიც.

ვასწავლი რამდენიმე კლასს, თუმცა სკოლის ყველა მოსწავლესთან ვურთიერთობ და ვცდილობ კითხვის გაკვეთილებში, სპექტაკლებსა და ლიტერატურულ კაფეებში მათი ჩართულობა მაღალი იყოს.

## სოფელში თავის დამკვიდრება ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს

სოფელთან შეგუების პროცესი საკმაოდ რთული და მტკივნეული იყო. ერთი წლის წინ,ზუსტად ამ დროს, დავდიოდით მე და ჩემი შვილები დაცლილ სოფელში და ის სიჩუმე, რომელიც მიტოვებული სახლების ეზოებში ჩამომდგარიყო, მთრგუნავდა. მენატრებოდნენ ჩემი მეგობრები, ოჯახის წევრები, თუმცა ამაზე ფიქრის დრო მხოლოდ შაბათ-კვირას მრჩებოდა. სოფელში თავის დამკვიდრება ადვილი არ არის, ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, თუმცა, თუ ამ გზას მშვიდობიანად გაივლი, საკუთარი ოჯახის წევრივით მიგიღებს და უდიდესი სიყვარულით გაგანებივრებს.

გაკვეთილების შემდეგ შვილებზე ვზრუნავ, ვცდილობ, ერთად გავატაროთ დრო, ვსეირნობთ, ვემზადებით მეორე დღისთვის. სამწუხაროდ, სოფელში ჩემი თანატოლი ორად ორი გოგოა, თუ დრო მაქვს, ვცდილობ, მოვინახულო ისინი.



ჩემი სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობა ენით აუწერელი სიამოვნებაა – სიხარულით ხვდებიან ნებისმიერ სიახლეს და ისეთი მკითხველები გახდნენ, რომ აქეთ მაცნობენ ხოლმე ახალ წიგნებს. ერთად ვქმნით საინტერესო დღეებს და უკვე დაგვიგროვდა ჭრელ-ჭრელი ამბები – საქველმოქმედო აქცია სკოლის ბიბლიოთეკის გასაახლებლად და კეთილი ადამიანების მიერ გამოგზავნილი უამრავი ახალი წიგნი; სპექტაკლი ვაჟა-ფშაველას შესახებ, მასში სკოლის თითქმის ყველა მოსწავლის ჩართულობა და სცენაზე გაცოცხლებული ალუდა, მუცალი, აღაზა, მინდია, მზია, კეკე, ვაჟა ძმებითურთ; საკონფერენციო თემა მიგრაციის შესახებ – მიტოვებულ სოფლებში მოგზაურობა და ბოქლომდადებული, ხავსმოდებული სახლების ფოტოზე ასახვა; ლიტერატურული კაფე სკოლასა და ბუნებაში, სადაც ნაძვების დამტვერვას შევესწარით და წვიმას უზარმაზარი ჩიხრის ქვეშ დავემალეთ; ჩვენი ფანტაზიით თოჯინებისა და თიხის სათამაშოების შექმნა საბავშვო ბაღებისთვის; კითხვა ბუნებაში, ხელნაკეთი წიგნები, ნაჭრის ჩანთებსა და მაისურებზე გაცოცხლებული ლიტერატურული პერსონაჟები, მოგზაურობა წიგნის ფესტივალზე, შეხვედრა დათო ტურაშვილთან, გელა ჩარკვიანთან, გოგა ჩანადირთან, გიორგი კეკელიძესთან და ბავშვების საყვარელ სხვა ადამიანებთან; კომპანია „ჯეოსელის“ მიერ გამოჩენილი ყურადღება – სტუმრობა მათთან და ბავშვების მრავალფეროვანი საჩუქრებით გახარება; ძველი თბილისის ქუჩებში სეირნობა, იტალიური ნაყინის დაგემოვნება, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ექსკურსია, ნარიყალადან დანახული დედაქალაქი, ოქროს ფონდის მონახულება და გაკვეთილებზე როლური თამაშით გაცოცხლებული ყაჩაღის ასული რონია, ჰაიდი თუ ბემბი; ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღის აღნიშვნა ცხელ-ცხელი კაკაოთი და პეპისეული ორცხობილებითურთ, ბავშვების დაინტერესება მისი წიგნებით და მერე დაუვიწყარი შაბათის დილა, როცა სახლის საკვამურებიდან ამომავალი კვამლი წაკითხული წიგნების შესახებ უყვებოდა სოფელს.

## მთა უდიდეს კვალს ტოვებს ბავშვების სულზე

ბავშვი, განვითარების ეტაპებით და უსათუთესი ასაკობრივი მდგომარეობის გამო, ყველგან – ქალაქშიც და სოფელშიც – ერთია, თუმცა გარემო, რომელშიც იზრდება მასზე უდიდეს გავლენას ახდენს. ურბანული სივრცე ქმნის ქაოსს, ხმაურს, უდროობას, უჰაერობას, ათასგვარ გამოწვევას გიწესებს და ეს ყოველივე ბავშვზეც მოქმედებს. მისი განვითარების რიტმი ხომ იგივეა, როგორიც ადრე იყო. ამიტომ შინაგანად ჩნდება ათასგვარი კონფლიქტი. ბავშვის ბუნება ითრგუნება და ეს ყველაფერი იწვევს აგრესიას. ჩემი დაკვირვებით, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ყველასათვის კარგად ნაცნობი ბულინგი მთაში არ არსებობს. მე არ მახსენდება არც ერთი ფაქტი, რომ აქ მცხოვრებ მოსწავლეებს ერთმანეთისთვის დაეცინოთ. აქ ჯერ კიდევ ცოცხლობს უფროს-უმცროსობა. მაგალითად, დილას სკოლის ავტობუსიდან უსიტყვო შეთანხმებით, პირველი უფროსი მასწავლებელი უნდა ჩავიდეს, ბოლოს კი უმცროსი და ბავშვები მხოლოდ ჩვენ შემდეგ ჩამოდიან. იგივე მეორდება სკოლის ჭიშკართან და შესასვლელ კართან. რაც მთავარია, ეს არ არის ფორმალობა, არა, ეს გააზრებული ქმედებაა.

მთა უდიდეს კვალს ტოვებს ბავშვების სულზე. აქ მცხოვრებ პატარებს სხვანაირი ყოველდღიურობა აქვთ – ხედავენ როგორ შრომობენ მათი მშობლები, რომ წლიური სარჩო მოიპოვონ. კარგად იციან მიწასთან მუშაობა, ეხმარებიან შეშის დაჩეხვასა და სხვა საოჯახო საქმეებში. უფროსებს დაჰყვებიან ტყეში, დააჭენებენ ცხენებს, იცნობენ სოკოს, ფრინველებს, მოსალოდნელ ამინდს. აქ ადამიანები უფრო ხშირად იყურებიან ცაში, მეტი ურთიერთობა აქვთ ბუნებასთან და ეს კავშირი – ბუნების რიტმის გააზრებული აღქმა – ღრმა კვალს ტოვებს მათ სულიერებაზე. ეს ქმნის იმ ადვილად შესამჩნევ კეთილშობილებას, რაც სოფელს განასხვავებს ქალაქისგან.

## თავგადასავლის მნიშვნელოვანი მოვლენა – თეკლა

უწერის სკოლას წელს ჩემი ექვსი წლის შვილიც შეემატა, რომელიც ერთადერთი პირველკლასელია. ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ აღმოჩნდა. როცა ჩემი გოგო დაიბადა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სკოლის პირველ დღეს კლასელების გარეშე გაატარებდა. ცხოვრება ხანდახან გვთავაზობს გამოწვევას, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღო. არ მინდოდა, თეკლა იმ ბავშვებისგან განმესხვავებინა, რომლებიც ჩვენი თუ სხვა მაღალმთიანი სკოლების ერთადერთი მოსწავლეები არიან. მე არ ვარ პირველი, ვინც ასე მოიქცა. პირადად ვიცნობ ჩემი პროგრამის მონაწილეებს, რომლებმაც ჩემამდე ეს ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ არც ერთი დედა არ ისურვებს ასეთ მომავალს თავისი შვილისთვის და ვფიქრობ, ჩემი ნერვიულობა გასაკვირი არაა. პირველი დღის ბოლოს მე ბედნიერი ვიყავი, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი, რადგან ზუსტად ვიცი, წლების შემდეგ თეკლასთვის ეს დაუვიწყარი თავგადასავალი იქნება. თვითონ ფაქტი არის მტკივნეული და შემაშფოთებელი, რადგან მიგრაციის გლობალურ და შეუქცევად პროცესს ასახავს. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯით კი, იქნებ მოხდეს სასწაული და მომავალ წელს სკოლას ბევრი მოსწავლე შეემატოს.

## პროფესია მასწავლებელი

ჩემთვის მასწავლებლის პროფესია უდიდესი პასუხისმგებლობაა – ბავშვის შესაძლებლობების აღმოჩენა, მისი, როგორც პიროვნების, აღიარება და მუდმივი თანადგომა, ზრუნვა პირად განვითარებასა და პიროვნულ სრულყოფაზე, ცოდნის უწყვეტი ძიება.

დღეს პედაგოგს უფრო დიდი გამოწვევა აქვს – უნდა აჰყვეს სამყაროს გიჟურ რიტმს, ალღო აუღოს ინფორმაციულ ნაკადს – ამ ყოველივეს კი დრო უნდა, რომელიც თითქოს აღარ გვრჩება.

დღეს მასწავლებლის პროფესია არ არის პოპულარული (რა საზიზღარი სიტყვაა, ხომ არ ჯობია სასურველი?) და სჭირდება მეტი თანადგომა, დაფასება, ყურადღება ყველა იმ ადამიანისგან, ვისაც ეს ეხება. პირველ რიგში, ეს მასწავლებლების ხელფასებზე უნდა აისახოს, რომ ამ პროფესიით მეტი ადამიანი დაინტერესდეს. მე ვიცნობ ბევრ ისეთ ადამიანს, ვისაც მოსწონს ეს საქმე, აქვს პირადი რესურსი ამ საქმიანობისთვის, უმაღლესი განათლებაც, მაგრამ მუშაობენ სხვაგან მაღალი ანაზღაურების გამო.

## კარიერული წინსვლის ახალი სქემა

ვფიქრობ, რომ განათლების სფეროში დღეს ყველა რესურსია იმისთვის, რომ პროფესიულად განვითარდე. ტარდება ტრენინგები, ხელმისაწვდომია თანამედროვე ლიტერატურა, არსებობს ინტერნეტსივრცე maswavlebeli.ge-ის სახით, სადაც ყოველდღიურად თავსდება სტატიები, რომლებიც ცნობიერების ამაღლების შესანიშნავი საშუალებაა.

ნებისმიერი ახალი გამოწვევა, პირადად ჩემთვის, საინტერესოა. სქემაში ჩართული ვარ და თუ ჩემი საქმიანობა პროფესიონალის მიერ შეფასებული და დაფასებული იქნება, ვფიქრობ, თვითგანვითარებაში დამეხმარება. სქემა ახალი პროცესია და როგორც ნებისმიერი სიახლე, შიშს და ფორიაქს, ეჭვებს იწვევს, თუმცა ისეთი ადამიანები მართავენ მას, რომ იმედი მაქვს, მასწავლებლების საკეთილდღეოდ წარიმართება.

ალბათ, მასწავლებელს სახელმწიფოსგან უნდა ჰქონდეს დიდი მხარდაჭერა და ამაზე კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა იზრუნონ.

## რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მასწავლებლის პროფესია

ეს არის პროფესია, რომელიც გაცემულ სიყვარულს, ენერგიას უკან გიბრუნებს, განვითარების საუკეთესო გზაა. ერთხელ ერთმა ჩემმა მეგობარმა მომწერა, შენ უკვე მასწავლებლურ სამოთხეში მოხვდიო და ახლა კარგად მესმის რას გულისხმობდა – ეს ის უტკბილესი გრძნობაა, რომელიც სიყვარულის, ცოდნისა და მადლიერების გაცემა-მიღების პროცესს მოსდევს.

## თვისება, რომელიც მასწავლებელს ბავშვებისთვის მისაღებს ხდის

მასწავლებლებს არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენც ბავშვები ვიყავით. საკუთარ თავში ყოველთვის უნდა ცოცხლობდეს ბავშვობის შეგრძნებები – შიში, შფოთი, წარუმატებლობები, აღიარებები, სირცხვილი, სიხარული, რათა მუდმივად გვესმოდეს ჩვენი აღსაზრდელის.

მისი ქცევა უნდა იყოს მისაბაძი, პედაგოგი უნდა იყოს გულწრფელი, გულისხმიერი, განვითარებისა და სიახლეების მაძიებელი, კარგად უნდა იცნობდეს ბავშვის განვითარების ეტაპებს, ესმოდეს, რომ ბავშვის რთული ქცევის მიღმა სხვა პრობლემები იმალება, თანაგანცდის უნარი მასწავლებლისთვის უმნიშვნელოვანესია.

ადამიანი, რომელიც განათლების სფეროში მოღვაწეობს, კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ თავს, პირადი წყენა სკოლის გარეთ დატოვოს და მზესავით გაუნათოს ბავშვებს ყოველდღიურობა.

## ქართველი მასწავლებლის მთავარი გამოწვევა

ქართველ მასწავლებელს დიდი გამოწვევა აქვს დღეს – უნდა აღზარდოს თაობა, რომელსაც მოქალაქეობრივი თვითშეგნება ექნება ჩამოყალიბებული. მე მჯერა, რომ თითოეულ ჩვენგანს სამყაროს შეცვლა შეგვიძლია. ოპტიმიზმი და საკუთარი საქმის სიყვარული გადამდებია. მასწავლებლებმა უნდა ვითავოთ ამ კეთილთვისებიანი ეპიდემიის გავრცელება, რომ უკეთესი ქვეყანა შევქმნათ.



**მოამზადა ლალი ჯელაძემ**

პედაგოგთა დასახმარებლად



ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

# განათლების პირველი მცნება – მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპი

**რუბრიკით „პედაგოგთა დასახმარებლად“ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგებისთვის მეთოდურ წერილებს შემოგთავაზებთ ზურაბ ვახანია, განათლების მეცნიერებათა აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ფსიქოლოგიის პროფესორი; საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.**

მსოფლიოში განათლების ფსიქოლოგიის 14-ოდე მთავარი თეორიაა (სწორედ მათ მოიცავს მასწავლებლის პროფ უნარ-თა სასერტიფიკაციო ტესტის პროგრამა). ეს თეორიები განათლების სხვადასხვა მხარეს აშუქებს, ზოგ რამეში ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდეც. მაგრამ ერთი საკითხია, რომელშიც ყველა ეს თეორია ერთსულოვანია:

თუკი გვსურს ნამდვილად ხარისხიანი სწავლება და მოსწავლის ჯანსაღი აღზრდა, სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ „პროგრამის გავლაზე“, სიჩქარეზე და გაბერილ-გართულებულ სასწავლო პროგრამებზე. ჯობია, ვასწავლოთ ცოტა, მაგრამ საფუძვლიანად, მრავალმხრივად, ღრმად, აუჩქარებლად. თუკი კლასის საშუალო უმრავლესობას რაიმე საკვანძო საკითხი უჭირს (თუნდაც 2-3 წლის წინ ნასწავლი), ამის მიფუჩეჩება დაუშვებელია. სანამ ეს ხარვეზი ბოლომდე არ აღმოიფხვრება, მანამ პროგრამაში წინსვლა დაუშვებელია. არცოდნაზე მხოლოდ უარესი არცოდნა დაშენდება. სახლის ხარისხიანი კედლები ვერ აშენდება, სანამ საძირკველი არაა მყარი და ვერც კარგი სახურავი გაკეთდება, სანამ კედლები არაა მყარი.

ეს ყოველივე, „ოქროს წესის“ სახით, სხარტად ჩამოაყალიბა პედაგოგიკის ერთ-ერთმა კლასიკოსმა, ა. დისტერვეგმა, 200 წლის წინ: **„ჯობია, ერთი საკითხი ვასწავლოთ ათი კუთხით, ვიდრე ათი საკითხი ვასწავლოთ ერთი კუთხით“**.

დავუშვათ, შინ ვამეცადინებთ საყვარელ დისშვილსა და ახლო მეგობრის შვილს. ჩვენი მიზანია, მათ სწავლაში დავეხმაროთ. აღმოჩნდა, რომ მეათეკლასელებს წესიერად არ ესმით ზმნის პირის ნიშნისა და წილადის ცნება (ასეა ჩვენი მოსწავლეების 80%) და ამ დროს მათ ძველქართული ენისა და ლიტერატურის თავისებურების, კვადრატული განტოლებისა თუ ტრიგონომეტრიის სწავლებას ხომ არ დავუწყებთ! და როგორც მოექცევი ყველაზე ახლობელ ბავშვებს, ისევე უნდა მოექცე კლასში მსხდარ მოსწავლეებსაც.

**ასე ნასწავლი ბავშვი საატესტატო თუ სხვა გამოცდებშიც უკეთეს შედეგებს მიაღწევს!**

ვასწავლოთ ის და ისე, როგორც მოსწავლეებისთვისაა უმჯობესი – ისე, რომ მათ წესიერად გაიაზრონ ნასწავლი, შემდეგ **წლების განმავლობაში** მრავალჯერადი გამეორებით (სხვადასხვა მხრიდან!) განუმტკიცდეთ ცოდნა (გამეორება ცოდნის დედააო) და გაუვარჯიშდეთ სათანადო უნარ-ჩვევები – რათა შემდგომში ნასწავლის რეალური გამოყენება შეძლონ. უამისოდ სწავლება უაზროა. და, რაც მთავარია, ისეთი საკითხები უნდა ვასწავლოთ, რომლებიც მათ ოდესმე მაინც გამოადგებათ. **სკოლაა მოსწავლისთვის და არა მოსწავლე – სკოლისთვის!**

სხვაგვარი სწავლება არის უხეში ძალადობა მოსწავლის სულზე, მას არასრულფასოვნების მძლავრ გრძნობას უმკვიდრებს; აჩვევს სიყალბეს, მიფუჩეჩებას, ქურდობას; გულს უცრუებს სწავლასა და წიგნზე, აზარმაცებს, შეაჯავრებს სკოლას, უბიძგებს ათასგვარი სიმახინჯისკენ (მაგალითად, ნარკომანიისკენ). სხვაგვარი სწავლება ღუპავს ჩვენს მომავალს!

სამწუხაროდ, მასწავლებელთა უდიდესმა უმრავლესობამ არ იცის, რომ ეს ყოველივე არის არა სასურველი მოწოდებები, არამედ მასწავლებლის იურიდიული მოვალეობა კანონის წინაშე და ვინც ამას არ ასრულებს, ის (ბავშვების დაღუპვასთან ერთად) კანონსაც არღვევს. მართლაც:

„მოსწავლეს და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის **აკადემიური თავისუფლება** იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას“ (*„კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 14/5)*.

ხოლო „ესგ“-ში დაკონკრეტებულია:

**„საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი**. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები; **სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა** (მაგალითად, რომელიმე სახელმძღვანელოსი), არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი“ (*„ეროვნული სასწავლო გეგმა“, თავი I*).

ხოლო სასწავლო სტანდარტების შესახებ მოცემულია ასეთი განმარტება:

„ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი მოსწავლე თითოეული კლასის დასრულების შემდეგ. ეს მოთხოვნები, თითოეული მიმართულებისათვის, ჩამოყალიბებულია შედეგებისა და მათი ინდიკატორების ენაზე.

**შედეგი** არის დებულება იმის შესახებ, თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს სწავლის მოცემული საფეხურის დასრულების შემდეგ.

**ინდიკატორი** არის დებულება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამის შედეგში. ინდიკატორის ძირითადი დანიშნულებაა იმის წარმოჩენა, მიღწეულია თუ არა შედეგი. ინდიკატორი ორიენტირებულია უნარ-ჩვევებზე და ჩამოყალიბებულია აქტივობის ენაზე. შედეგთან დაკავშირებული ინდიკატორების ერთობლიობა ფარავს შედეგს და, ამავე დროს, თითოეული მათგანი წარმოაჩენს შედეგს რომელიმე კუთხით. ის, თუ რამდენადაა ესა თუ ის შედეგი მიღწეული, განისაზღვრება შესაბამისი ინდიკატორების იმ რაოდენობით, რომელსაც მოსწავლე აკმაყოფილებს. **შედეგი ითვლება მიღწეულად, თუ მოსწავლე აკმაყოფილებს ამ შედეგის შესაბამისი ინდიკატორების უმეტესობას.**

თითოეული საფეხურის შესაბამისი შედეგებისა და მათი ინდიკატორების ერთობლიობას თან ერთვის შინაარსი, რომელიც არის სასწავლო მასალის იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია ჩამოყალიბებული შედეგების მიღწევა სწავლების მოცემულ საფეხურზე. დოკუმენტში წარმოდგენილი **შინაარსი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და აქედან გამომდინარე იგი არ განიხილება, როგორც ამ საფეხურისათვის განკუთვნილი სავალდებულო სასწავლო მასალა. იგულისხმება, რომ ერთი და იგივე შედეგის მიღწევა** (ე.ი. იმ უნარების განვითარება, რომლებიც ამ შედეგშია აღწერილი) **შესაძლებელია განსხვავებულ სასწავლო მასალაზე დაყრდნობითაც“** *(„ეროვნული სასწავლო გეგმა“, 2009 წ., გვ. 145-146*).

ამის მიუხედავად, ზოგჯერ მასწავლებელს შემმოწმებელი უმოწმებს, თუ რამდენად ზუსტად მისდევს გრიფირებულ სახელმძღვანელოს და მის მიერვე შედგენილ სილაბუსსაც კი! ეს შემმოწმებლის უვიცობის მაჩვენებელია და ამით შემმოწმებელი კანონს არღვევს!

სახელმძღვანელო გრიფირებულია, ანუ **რეკომენდებულია** სამინისტროს მიერ. რეკომენდაცია არ ნიშნავს სავალდებულოს. ხოლო სილაბუსი, მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში არაა ნორმატიული, ანუ სავალდებულო დოკუმენტი, იგი მხოლოდ წინასწარი სავარაუდო მონახაზია და დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს, როგორც კი ამას **კონკრეტული კლასის მოსწავლეთა საჭიროება მოითხოვს!** ხოლო ზემორე გადმოცემული დებულებები სწორედ რომ ნორმატიულია და კერძო სკოლის მასწავლებელიც კი ვალდებულია, მათ დაემორჩილოს – იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ისინი! თუ არა და ის მასწავლებელი კი არა, არამედ, არსებითად, წკეპლებიანი ზედამხედველია. ამას ერთობლივად გვისაბუთებს კანონიც და განათლების ფსიქოლოგიაც.

სანამ ის კომუნისტებისდროინდელი „პროგრამის გავლა“ არ მოისპობა, მანამ არათუ ხარისხიანი სწავლება, არამედ საზოგადოდ ადამიანური სწავლება არ დაიწყება და სკოლა ყაზარმას ემგვანება. **ვიცოდეთ კანონი და ვიქნებით დაცულნი!**

დავუჯეროთ განათლების ფსიქოლოგიას და პირნათელნი ვიქნებით საკუთარი სინდისის, საქართველოს მომავლისა და ღმერთის წინაშე!

## სწავლების ძირითადი მეთოდები და ფორმები

სწავლების **პასიური, დიდაქტიკური** მეთოდებია: ლექციურ-თხრობითი მეთოდი (შესაძლოა, ჩართული დიალოგებით მეტ-ნაკლებად გააქტიურებული) ან მისი ნაირსახეობა, მინი-ლექციური სწავლება (შეიძლება იყოს როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური ფორმით, მაგ., ინტერნეტით). ტრადიციული სასკოლო გაკვეთილის ახსნითი ნაწილი, არსებითად, მინი-ლექციაა.

ყველა ამ მეთოდის მთავარი მახასიათებელია სწავლების ცალმხრივი მიმართულება:

**მასწავლებლიდან → მოსწავლისკენ**

ამის საპირისპიროდ, **აქტიური სწავლების** მეთოდების მთავარი მახასიათებელია დიალოგურობა, ინტერაქციულობა; მოსწავლეა უფრო აქტიური, ხოლო მასწავლებელი შედარებით პასიურია და სჯერდება წარმმართველისა და ფასილიტატორის როლს.

**ინტერაქცია** – ურთიერთობა, ურთიერთქმედება.

inter *ურთიერთ* + actia *ქმედება.*

**ინტერაქციური სწავლება** – აქტიური ორმხრივი სწავლება: ცოდნის წყარო არაა ცალმხრივი – მხოლოდ მასწავლებლის აქტივობა, არამედ ცოდნა იქმნება მოსწავლე-მასწავლებლისა და აგრეთვე მოსწავლეთა ერთმანეთში ურთიერთობით, აზრთა ურთიერთგაზიარებით:




მთავარი ისაა, რომ მოსწავლე სწავლობს და არა ის, რომ მასწავლებელი ასწავლის. მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპის შესაბამისად, ნაკლებად გვაინტერესებს, თუ რა ასწავლა მასწავლებელმა და როგორ ასწავლა; მთავარი ისაა, თუ რა იციან და როგორ იციან მოსწავლეებმა.

ნამდვილი აქტიური სწავლების სახეობებია: **კონსტრუქტივიზმი** და **კეთებით სწავლება**, **ევრისტიკული** მეთოდი, ანუ **კვლევა-ძიებითი სწავლება** (ეს ორი მეთოდი, როგორც წესი, პარალელურად გამოიყენება; *მათი განხილვა მომდევნო სტატიაში იქნება).*

აქტიური სწავლების ფორმებია: დიალოგური სასკოლო გაკვეთილი, დიალოგური სემინარი, ინტერაქციული ტრენინგი; ჯგუფური მუშაობა; სასწავლო პროექტი, პრაქტიკუმი, ლაბორატორიული მუშაობა; სასწავლო დისპუტი, დისკუსია; გონებრივი შეტევა; „საგაკვეთილო სასამართლო“; სასწავლო კონფერენცია-სიმპოზიუმი...

ნაწილობრივაა აქტიური გავარჯიშების (გამოწვრთნის) მეთოდი, რომელსაც ყველაზე ხშირად კარგი რეპეტიტორები იყენებენ.

❖ **აქტიური სწავლა-სწავლება** – მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მრავალფეროვან აქტივობებში (მოქმედებებში), იყენებენ ინფორმაციის ნაბეჭდ, ელქტრონულ და სხვა სახის წყაროებს, დამოუკიდებლად აკეთებენ დასკვნებს, თვითონვე აგებენ ან აღმოაჩენენ ახალ ცოდნას (სწავლა კეთებით);

❖ **კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება** – გამოითქმება მრავალი აზრი, ხდება მათი განხილვა, დასაბუთება და შეჯერება;

❖ **გაღრმავებული სწავლება** – ორიენტირება არა სასწავლო პროგრამის გავლაზე და ნასწავლის მოცულობაზე, არამედ ხარისხზე – საკვანძო ცნებათა და მიმართებათა მრავალმხრივი და ჩაღრმავებული, აუჩქარებელი გააზრებით (ხშირია აღრევა ტერმინებისა „გაღრმავებული სწავლება“ და „გაძლიერებული სწავლება“; არა პირველი, არამედ მეორე გულისხმობს სასწავლო პროგრამის გაძლიერებას);

❖ **ავთენტიკური სწავლა** – თემატიკა, მასალა, სასწავლო პროცესი და გარემო დაკავშირებული უნდა იყოს მოსწავლეების ცხოვრებასთან, მათ უშუალო გარემოცვაში მიმდინარე მოვლენებთან, რეალურ საჭიროებებთან; ბავშვი თავის ბუნებრივ სამყაროში უნდა გრძნობდეს თავს (ზედმეტი უცხო სიტყვების გარეშე); დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნასწავლის გამოყენებას (**ტრანსფერი** – გადატანა სხვა დარგში ან ყოფაცხოვრებაში).

## ამოცანები

**1. შემდეგთაგან რომელია სწავლის საუკეთესო, ყველაზე აუცილებელი საშუალება?**

ა) ტრადიციული ფორმითა და შინაარსით აწყობილი საგაკვეთილო მუშაობა;

ბ) მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა;

გ) უზადო ლექციების კურსის წაკითხვა კარგი მასწავლებლის მიერ;

დ) მოსწავლეთა გუნდური მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობა;

ე) კამათი, რომელშიც იბადება ჭეშმარიტება;

ვ) თვით მოსწავლის მიერ კეთება იმისა, რაც უნდა ისწავლოს.

**პასუხი:** (ვ)

**2. შემდეგთაგან რომელი არ განეკუთვნება აქტიური სწავლების ფორმებს?**

ა) სასწავლო პროექტის ტიპის დავალება;

ბ) სასწავლო სემინარი;

გ) სასწავლო დისკუსია;

დ) ერთობლივი ინტერაქციული მსჯელობა;

ე) საკლასო ჯგუფური მუშაობა;

ვ) მოსწავლის მიერ საკუთარი ინდივიდუალური ნამუშევრის წარდგენა;

ზ) მოწვეულ მეცნიერთა დებატების მოსმენა სასწავლო მიზნით.

**პასუხი:** (ზ)

**3. მასწავლებლის მიზანი ნასწავლი საკითხის გამეორება და მისი ცოდნის გააქტიურებაა. საუკეთესოა აქტიური გამეორება. დაალაგეთ შემდეგი სასწავლო ქმედებანი თანმიმდევრობით ყველაზე პასიური გამეორებიდან ყველაზე აქტიური**

## პედაგოგთა დასახმარებლად

**გამეორებისაკენ:**

(1) მასწავლებლის დავალებით მოსწავლე სახელმძღვანელოში მოიძიებს ნასწავლ საკითხს და კვლავ წაიკითხავს.

(2) მასწავლებლის დავალებით მოსწავლე სხვა წყაროდან მოიძიებს ნასწავლ საკითხს და წაიკითხავს.

(3) მასწავლებელი მოსწავლეს მიუთითებს საჭირო ადგილს სახელმძღვანელოდან და მის წაკითხვას დაავალებს.

(4) მასწავლებელი მოკლედ, შეჯამებულად ჩამოაყალიბებს ნასწავლ საკითხს და მოსწავლეს ასე შეახსენებს.

(5) მასწავლებელი მოსწავლეს დაავალებს ამოცანის გადაწყვეტას ნასწავლი საკითხის გამოყენებით.

(6)მასწავლებელი მოსწავლეს უჩვენებს ნასწავლი საკითხის პრაქტიკული გამოყენების საინტერესო მაგალითს.

**პასუხი:** (4), (3), (1), (2), (6), (5),

**4. კლასში გაკვეთილზე დამსწრე იჯდა. მასწავლებელმა მოისურვა, რომ საფუძვლიანად აეხსნა ახალი საკითხი. ამიტომ წინა საკითხების გამოკითხვა სწრაფ ტემპში წარმართა და მალე მოათავა, რათა გაკვეთილის ძირითადი ნაწილისთვის საკმარისი დრო მორჩენოდა. ძირითადი ნაწილი კი იმით დაიწყო, რომ მოსწავლეებს სასწავლი საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა აუხსნა და მისი მნიშვნელობა დაუსაბუთა. მაგრამ გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი გაწბილებული დარჩა, რადგან მოსწავლეთა ინტერესი ძალიან დაბალი იყო და, შედეგად, ცუდი გაკვეთილი გამოუვიდა.**

**შემდეგთაგან რომელი/რომლები გვიჩვენებს ამის მიზეზს?**

I. წინა საკითხების აჩქარებით გამოკითხვით მასწავლებელმა ვერ გაარკვია, თუ რამდენად კარგად იცოდა ისინი კლასმა;

II. წინა საკითხებზე მსჯელობა ახლის შემზადებაც უნდა ყოფილიყო;

III. მასწავლებელს არ ჩაუტარებია წინმსწრები სამოტივაციო აქტივობა;

IV. „საფუძვლიანი ახსნა“, არსებითად, დიდაქტიკური მინი-ლექციის გახანგრძლივებაა, „გაკვეთილის ძირითადი ნაწილი“ კი სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო;

V. მრავალ მოსწავლეს სურდა, წარმოეჩინა თავისი ნამუშევარი და გამოეთქვა აზრი საშინაო დავალების საკითხებზე (რომლებშიც თავს უფრო მყარად გრძნობდნენ); მათ ამის საშუალება არ მიეცათ, რამაც მათი მოტივაცია შეასუსტა.

**პასუხი:** I, II, IV, V

---

*სამოქალაქო განათლება*



ნონა ფიფია

# სტიგმის დაძლევა – ცნობიერების ამაღლების შედეგი

2015 წლის 23 სექტემბერს, თბილისში, სასტუმროში „რუმს ჰოტელ თბილისი“ „ტუბერკულოზის შესახებ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა, რომელიც „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდმა“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის ხელშეწყობით განახორციელა. კამპანიის ფარგლებში, სამი წლის განმავლობაში, 50-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, 200-ზე მეტი სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედია-საშუალებებმა მიიღეს ინფორმაცია ტუბერკულოზის საკითხებთან დაკავშირებით. მომზადდა და გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო მასალები, ასევე სიუჟეტები და პროგრამები ტელევიზიებში. კონფერენციის მიზანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების წარდგენა იყო ფართო საზოგადოებისათვის. დაჯილდოვდნენ ის სკოლები და ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ტუბერკულოზის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთლეობის დაცვის ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის, ასევე სკოლებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებმა.

**გიორგი მაღრაძე,** საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდის თავმჯდომარე: *„ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტუბერკულოზის პრევენციის პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაცია „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდმა“, სამწლიანი პროექტის ფარგლებში, მთელ საქართველოში განახორციელა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ტუბერკულოზის შესახებ. ჩვენი სამიზნე ჯგუფები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლები არასამედიცინო პროფილით, არასამთავრობო ორგანიზაციები და სკოლები, რომელთა მხრიდანაც გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხის მიმართ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და სკოლების დირექციასთან თანამშრომლობით, შევიმუშავეთ ერთგვარი განრიგი და სქემა, რომელმაც საშუალება მოგვცა მთელი საქართველო მოგვეცვა – როგორც მსხვილი ქალაქები, ასევე შორეული სოფლებიც (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ხაშური, მცხეთა, წეროვანი, სტეფანწმინდა, ჟინვალი, დუშეთი,მარნეული, გარდაბანი, წყალტუბო, ახმეტა, ყვარელი, სამტრედია, ამბროლაური, ჭიათურა, თერჯოლა, ზეტაფონი, თელავი, გურჯაანი, ლაგოდეხი, გორი, საჩხერე, კასპი, ხარაგაული, ჩოხატაური, ოზურგეთი, ქობულეთი, ხობი, ხეთა, ბორჯომი, ახალციხე). ჩვენი კამპანიის ვიზიტების მიზანი იყო სკოლებში საინფორმაციო სემინარები ტუბერკულოზის შესახებ როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. თბილისისა და ქუთაისის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრებში გადამზადდა 130-მდე პედაგოგი. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ამ ორგანიზაციებს დახმარებისათვის. შეიქმნა და დარიგდა მეთოდური სახელმძღვანელოები პედაგოგებისათვის, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია ტუბერკულოზის დაავადების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ, საკითხის ეთიკურ და სოციალურ ასპექტებზე. სკოლები, აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროცესში და საინტერესო, მრავალფეროვანი ღონისძიებები განახორციელეს – სასკოლო კონფერენციები „თანატოლთა განათლების სემინარი“, „საინფორმაციო სემინარი მშობელთათვის“, ვიქტორინები, კვლევები თავიანთ რაიონებში, საინფორმაციო ფლაერების გავრცელება, ნერგების დარგვის აქცია, მხიარული სტარტები, სპარტაკიადები, თემატური ნახატების გამოფენა, ტუბდისპანსერის პერსონალთან ინტერვიუ, ვიდეოკლიპების ჩვენება და ა.შ. ძნელია ვინმეს გამორჩევა, თუმცა დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ხარაგაულის რაიონის ბორის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ ორაგნიზებულ „ფლეშ-მობს“, საინფორმაციო სემინარს, რომელიც ჩაუტარეს ხარაგაულის წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის თანატოლებს, ერთად გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები და გამოუშვეს სასკოლო კედლის გაზეთი. ინტეგრირებული ღონისძიება წარმოადგინეს ქუთაისის №29 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიის, მუსიკის, სპორტისა და ხელოვნების პედაგოგებმა. ეს იყო ლამაზი, სპორტული წარმოდგენა ამ მტკივნეული თემის ირგვლივ. ემოციური იყო თბილისის №22 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ თეატრალიზებული წარმოდგენა,*




*სადაც გაიხსენეს ის საზოგადო მოღვაწეებიმწერლები, პოეტები, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ ამ სენით და დაიღუპნენ. თითქოს გაცოცხლდნენ, ისე წარმოგვიდგნენ თვალწინ. ამ ღონისძიებაში ინტეგრირებული იყო ქართულის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების საგნები. სწორედ ამიტომ, მსურს მადლიერება გამოვხატო ამ მასწავლებლების, სკოლების ადმინისტრაციების, ასევე განათლების სამინისტროსა და რესურსცენტრების მიმართ. ჩვენი კამპანიის პერიოდში ზოგიერთ სკოლაში დაფიქსირდა ტუბერკულოზის შემთხვევა, მაგრამ არ ყოფილა ისეთი მწვავე დამოკიდებულება ამ ბავშვების მიმართ, როგორიც იყო წლების წინ. ეს არის საზოგადოების ინფორმირების, ცნობიერების დონის ამაღლების შედეგი.*

*პროგრამა დასრულდა, მაგრამ ჩვენ არ შევწყვეტთ ამ გეზს. ნებისმიერ დროს, ინტერესის შემთხვევაში, ნებისმიერ სკოლაში მივალთ, ჩავატრებთ საინფორმაციო სემინარებს, გავუწევთ ორგანიზებას ღონისძიებებს... ამას ვაკეთებდით და გავაკეთებთ კვლავაც, დაფინანსების გარეშეც, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში.“*

კონფერენციაზე ასევე მიწვეულნი იყვნენ საინფორმაციო კამპანიაში ჩართული სკოლების წარმომადგენლები – დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები. ისინი გვესაუბრებიან რა როლი ითამაშა ამ კაპანიაში ჩართულობამ მათ სასკოლო ცხოვრებაში, რა შედეგებზე გავიდნენ,

**ნანა კრიხელი,** ახმეტის №1 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩემი და ჩემი მოსწავლეების სახელით მსურს მადლობა გადავუხადო ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდს ტუბერკულოზის პრევენციის საერთაშორისო პროგრამაში ჩართვისათვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ტუბერკულოზის დაავადების წარმოშობისა და პრევენციული ზომების შესახებ ინფორმაციების მიღება. პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ საინფორმაციო სემინარები მოსახლეობისათვის ტუბერკულოზის შესახებ ცოდნის დონის ასამაღებლად. ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.“*

**ზეინაბ კაკალაშვილი,** თელავის №5 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი: *„აღნიშნული კამპანიის საშუალებით მივიღეთ დეტალური ინფორმაცია ტუბერკულოზის შესახებ. სამოქალაქო განათლების კლუბის აქტიურმა წევრებმა მოიწვიეს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები და ჩაატარეს საინფორმაციო სემინარი თანატოლებისათვის, რომელიც სტიგმის დაძლევას, დაავადების მაღალი რისკის მართვას, სიმპტომების გამოვლენას, მოქმედი ტუბდაწესებულებებისა და ფთიზიატრიული მომსახურების საკითხებს ეხებოდა. სტიგმის დაძლევა მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ჩვენი შემდგომი აქციაც სწორედ მიმართული იყო საზოგადოების ინფორმირებაზე და მხარდაჭერის მოპოვებაზე ტუბერკულოზისა და მასთან დაკავშირებული სტერეოტიპის დაძლევასა და აღმოფხვრაზე. თემში დაარიგეს კამპანიის ფარგლებში გამოცემული ბროშურები.“*

**ნინო შოშიაშვილი,** თელავის №9 საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი: *„ტუბერკულოზის შესახებ ფარტომასშტაბიანი კამპანიის ფარგლებში ჩემი მოსწავლეები გაეცნენ ტუბერკულოზის დაავადების, პრევენციისა და განკურნების შესახებ ინფორმაციებს. ასევე ტუბდაავადებულ ადამიანებთან ქცევის ეთიკურ და ჰიგიენურ წესებს. მეათეკლასელებმა ჩაატარეს საინფორმაციო სემინარი უმცროსკლასლებისათვის სხვადასხვა სახალისო და საინტერესო აქტივობებით.“*






სპორტი

# წარმატებისთვის დასჯილი

ირაკლი თავაძე

სამწუხაროდ, დიდ სპორტში ჩაბმული სტუდენტებისა თუ მოსწავლეებისთვის ისევ ძალიან დიდ პრობლემად რჩება სწავლისა და სპორტული კარიერის შეთავსება, რის გამოც ბევრი იძულებულია, სპორტს თავი დაანებოს. მართალია, პირიქითაც ხდება, თუმცა ეს პრობლემის სიმწვავეს ოდნავადაც არ ამცირებს – მათ არჩევანის გაკეთება უწევთ, ოქროს შუალედის დაჭერას კი მოქმედი კანონმდებლობის გამო, უმეტესად, ვერ ახერხებენ. არადა, მსოფლიომ დიდი ხნის წინ გადაჭრა ეს პრობლემა და ასეთი დილემის წინაშე არ აყენებს თავის მოქალაქეებს – აძლევს საშუალებას, თავისი ნიჭი სრულად განავითარონ. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს მთავრობას ველოსიპედის გამოგონება არ სჭირდება და უკვე აპრობირებული მიდგომების გათვალისწინება მართებს, ამ პრობლემის მოგვარებას არა და არ დაადგა საშველი. ვფიქრობთ, ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება, იზრუნოს თავის მოქალაქეებზე და კანონში შეიტანოს ელემენტარული შესწორება, რაც გარკვეულ გამონაკლისს დაუშვებს სპორტულ შეჯიბრებებზე ყოფნისას ან მოსამზადებელ პერიოდში გაცდენილი საათების გამო კლასში ან კურსზე არ ჩატოვონ სპორტსმენი და გაცდენილი საათების ანაზღაურების საშუალება მისცენ.

ამ პრობლემამ არაერთი ქართველი სპორტსმენი დააზარალა. მათ შორის საკმაოდ პერსპექტიულებიც იყვნენ, რომელთაგანაც დიდ შედეგსაც ელოდნენ, მაგრამ თავი დაანებეს სპორტს (მაგალითად, სამედიცინოს სტუდენტი, ქუთაისელი ტყვიის მსროლელი **ნინო ფანჩულიძე**), იქნებ ზოგი არაა ასეთი გაქანების სპორტსმენი, მაგრამ კლასში მაინც ჩატოვეს...

ამგვარი მიდგომის ბოლო მსხვერპლი ძიუდოში ევროპის ჩემპიონი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული **მზია ბებოშვილია**, თუმცა მისი ამბავი „ჰეფი ენდით“ დამთავრდა. ის თბილისის 84-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა და ერთ-ერთი მათგანია, ვინც ამ ზაფხულს კონტინენტის პირველობაზე მთელი ევროპა ააფორიაქა და ვისაც ქართული „დინამიტი უწოდეს“, ხოლო ფრანგთა მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლუსი დეკოსის** ათქმევინა, ქართველმა გოგონებმაც თუ მათი ბიჭებივით დაიწყეს მედლების მოპოვება, ჩვენ რაღა გვეშველება, სად დავიმსახუროთ ჯილდოებიო. ამ ამბებიდან სულ მალე ბებოშვილი და მისი თანაგუნდელები თბილისში გამართული ახალგაზრდული ევროპული ფესტივალის ტრიუმფტორებად მოგვევლინნენ და მაღალხარისხოვანი ჭიდაობით, კარგი გამოსვლით გააოცეს ძიუდოს ქომაგები შინ თუ გარეთ. თუმცა ამ პატარა გოგოს სხვა მიღწევაც ეკუთვნის – 2013 წელს მან ტალინში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ეს კი არა მხოლოდ ძიუდოში, არამედ მთლიანად საჭიდაო სახეობებში ქართველ ქალთა პირველი და ისტორიული ჯილდო იყო. თუმცა მისი პრობლემა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო – ევროპის პირველობა მუდამ ივნისში იმართება, ანუ დროში ემთხვევა გამოცდებს სკოლაში. ჰოდა, ბებოშვილსაც მოუხდა მათი გაცდენა, რისთვისაც... კლასში ჩატოვეს...

ბუნებრივია, პატარა გოგომ ეს მძიმედ განიცადა, ბევრიც იბრძოლა მის გამოსასწორებლად, მაგრამ ტატამისგან განსხვავებით, ქართველ ჩინოვნიკებთან ბრძოლა გაცილებით ძნელი და უშედეგო აღმოჩნდა – არაფერმა არ გაჭრა. *„რატომ უნდა მერქვას კლასში ჩარჩენილი, მე ხომ სიზარმაცის გამო არ გამიცდენია გამოცდები, წავედი, რათა ჩემი ქვეყანა მესახელებინა და ვასახელე კიდეც, უცხოეთში საქართველოს დროშა ავწიე“* – გულისტკივილით განაცხადა ამ ზაფხულს, ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ბებოშვილმა გაზეთ „ლელოსთან“ ინტერვიუში. მართლაცდა მან ხომ ქვეყანა ასახელა, სამაგიერო კი რით გადავუხადეთ? მით უფრო, ის არ იყო ცუდი აკადემიური მოსწრების მოსწავლე – თავიდან, ვიდრე დიდ სპორტში ჩაებმებოდა, მაღალ ნიშნებზეც სწავლობდა, მერე და მერე კი, როცა სპორტული დატვირთვა გაეზარდა, ცოტა გაუჭირდა ორივეს წარმატებით შეთავსება, მაგრამ მაინც დღე და ღამეს ასწორებდა ოქროს შუალედის საპოვნელად – დილით სკოლაში მიდიოდა, შუადღეზე კი სახლში დაბრუნებული ისადილებდა და როგორც იმავე ინტერვიუში თქვა, ერთ ჩანთას მეორეთი შეცვლიდა და ვარჯიშზე მიდიოდა. საღამოს, იქიდან დაბრუნებული ივახშმებდა და წიგნებს ჩაუჯდებოდა, რაც შუაღამემდე გრძელდებოდა. ის არ ითხოვდა შეღავათს, ითხოვდა მხოლოდ იმას, რომ მიეცათ გამოცდების ჩაბარების უფლება, რათა თავის კლასს დასწეოდა.

წლეულს, ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ვითარება შეიცვალა და წლევანდელი გაცდენებისთვის არ დაუსჯიათ. მეტიც – როგორც თავად განგვიცხადა, „ლელოში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ დაუკავშირდნენ და გამოცდების ექსტერნად ჩაბარება შესთავაზეს ანუ ის, რასაც თავად ითხოვდა. მაშინ შეთანხმდნენ, რომ გამოცდებს ევროპული ფესტივალისა და მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩააბარებდა. მან მართლაც ჩააბარა გამოცდები და ჯერ ისევ XI კლასშია, თუმცა გარკვეული ფორმალობების გავლის შემდეგ დააწევენ თავის კლასს. ევროპის ჩემპიონი და ფესტივალის გამარჯვებული ამჯერად სკოლამაც დააფასა – ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მასააწევინეს საქართველოს დროშა და მისი მიღწევებისადმი პატივისცემა



ყველანაირად გამოხატეს. სკოლის დირექტორი **მანანა ბაციკაძე** და მთელი პედაგოგიური კოლექტივიც მაქსიმალურად უჭერენ მხარს – ის ახლაც შეკრებაზეა წასული, სადაც ინდივიდუალურად მეცადინეობს, მაგრამ გაცდენებისთვის აღარ ისჯება, ამ ყველაფერს კი მოგვიანებით აანაზღაურებს.

როგორც ვთქვით, ამჯერად ყველაფერი „ჰეფი ენდით“ დასრულდა, თუმცა ყოველთვის ასე როდი ხდება. უცხოეთში ასეთ წარმატებულ სპორტსმენს სკოლაში არათუ მსგავსი პრობლემა არ შეექმნებოდა, ხელისგულზე ატარებდნენ. თუმცა იქნებ დირექტორიც მართალია – ის კანონს იცავს, მაგრამ საქმე სწორედ კანონის უვარგისობაშია, მან არ უნდა დაავალდებულოს დირექტორი, მიიღოს ასეთი არაპოპულარული გადაწყვეტილება. მსგავსი სათუთი საკითხი დამოკიდებული არ უნდა იყოს კონკრეტული პიროვნების (ამ შემთხვევაში – დირექტორის) გულმოწყალებაზე, კანონი უნდა განსაზღვრავდეს, რომ სპორტსმენი არც დაიჩაგროს და არც სწავლაში ჩამორჩეს. არადა, ჩვენთან რატომღაც გავრცელებულია მიდგომა, რომ სპორტისა და სწავლის შეთავსება შეუძლებელია და ორიდან ერთი უნდა აირჩიოს, რაც დასავლეთისთვის სრულიად მიუღებელია და საპირისპირო სტანდარტია დამკვიდრებული. პარადოქსია, მაგრამ ჩვენთან თუ ზემოხსენებული არჩევანის გაკეთებას სთხოვენ, მაგალითად, ჰოლანდიური „აიაქსის“ საფეხბურთო აკადემიაში კარგად სწავლას და მაღალ აკადემიურ მოსწრებას სთხოვენ – ვისაც კარგი ნიშნები არ ჰყავს, არც აჩერებენ. არადა, დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, ანუ სპორტში დატვირთულებს განათლების მიღებასაც ავალებენ. მსგავსი მიდგომაა მთელ დასავლურ სამყაროში. ჩვენგან განსხვავებით, მათ კარგად ესმით, რომ ინტელექტი, აზროვნება, კარგი გონებრივი განვითარება სპორტშიც აუცილებელია და რომ მოაზროვნე სპორტსმენი ბევრად მეტს მიაღწევს.

დასავლეთში ერთნაირი სტანდარტი არ არსებობს, თუმცა ეს ჩვენს კანონმდებლებს ლავირების და მისაღები მეთოდების გადმოღების ბევრად მეტ საშუალებას აძლევს. იქ, მაგალითად, ბევრ ქვეყანაში მოსწავლე სპორტსმენი სკოლის დამთავრების შემდეგ თუ გახდება სტუდენტი, მას შეუძლია, აიღოს აკადემიური და სტუდენტის სტატუსი უნარჩუნდება სპორტული კარიერის ბოლომდე, მისი დასრულების შემდეგ კი დაუბრუნდება სწავლას და შეუძლია, წარმატებული სპეციალისტიც გახდეს. ბავშვებს რაც შეეხება, ბევრი კლუბი სპეციალურად ქირაობს მასწავლებელს, რომელიც შეკრების პერიოდში სასკოლო პროგრამის მიხედვით ამეცადინებს მოსწავლეებს – ფაქტობრივად, შეკრებებზე უტარებს მათ გაკვეთილებს, რათა არ ჩამორჩნენ სწავლაში. გასაგებია, ეს დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს მოდელი, არც ისე ფართოდ, თუმცა მაინც მუშაობს საქართველოში. სამწუხარო ისაა, რომ ბევრ კლუბს არ აქვს საშუალება, დაიქირავოს მასწავლებელი, თუმცა ამაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ჩვენთან თავად საკლუბო სისტემა არაა განვითარებული. უცხოეთში ბევრგან ისეც ხდება, რომ როცა მოსწავლეები სადმე მიჰყავთ შეკრებაზე, იმავე დასახლებულ პუნქტში არსებულ სკოლაში ესწრებიან გაკვეთილებს და არც ჩამორჩენის საფრთხე ემუქრებათ, ცხადია, ფართოდაა გავრცელებული ექსტერნის წესით ჩაბარების მეთოდიც, როცა ბავშვი დამოუკიდებლად ემზადება და მერე აბარებს გამოცდებს. ბებოშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა. თუ ამ პრობლემას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (რაკი საქმე სასწავლო დაწესებულებებს ეხება, უპირველესად, ეს მისი პრეროგატივაა, შემდეგ კი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსი) ერთხელ და სამუდამოდ არ მიხედა, მომავალშიც არაერთხელ შეგვახსენებს თავს. არადა, კიდევ ვიმეორებთ – მოუგვარებელი არაფერია, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება პრობლემის გადასაჭრელად.

ინფორმაცია

# ახალი პროგრამის პილოტირება იწყება

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების ხარისხის გაუმჯობესება განსაზღვრა. განათლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მშობელთა ჩართულობა შვილების განათლების პროცესში.

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მათი ინფორმირება სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა განათლების პროცესთან დაკავშირებული ახალი ტენდენციების შესახებ. სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა განათლების პროცესის დაგეგმვისას, თანაბრად გასათვალისწინებელია ბილინგვური მიდგომა (ჟესტი და სამეტყველო ენის განვითარება ერთდროულად) და ფსიქოლოგიური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც რეალურად ეხმარება მშობელს გასცეს პასუხი მისი შვილის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვას და მიიღოს სათანადო სერვისი.

მშობელი არის ყველაზე კარგი მოკავშირე პედაგოგისათვის ბავშვის განვითარების პროცესში. შესაბამისად, ნორვეგიის განათლების სამინიტროს დახმარებით, საქართველოში იმყოფებიან ექსპერტები ნორვეგიიდან (მათ შორის არის თავად ყრუ ბავშვის მშობელი), რათა გაუზიარონ ქართველ მშობლებს თავიანთი გამოცდილება. სასიხარულოა, რომ შეხვედრა რეგიონშიც გაიმართება და 60-ზე მეტი მშობელი შეძლებს ჩაერთოს აქტიურ დისკუსიაში.



აღნიშნული ახალი ინიციატივის ფარგლებში, ამაღლდება მშობელთა ცნობიერება სმენის დარღვევის მქონე პირთა განათლების საკითხებზე და სისტემურ დონეზე საფუძველი ჩაეყრება მშობელთა გაძლიერების პროგრამას, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და უახლესი კვლევების შედეგებს.

მშობელთა გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, გათვალიწინებული იქნება მშობლებისათვის ჟესტური ენის სწავლება და თანმიმდევრული მეთოდოლოგია, რომელიც აცნობს მათ ბავშვის განვითარების თავისებურებებს, სმენის დარღვევასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ბარიერებს, შესაძლებლობებს, რომელიც აქვთ მათ შვილებს სწორი განათლებისა და რეაბილიტაციის პირობებში. განსაკუთრებული ყურაღება მახვილდება თითოეული ინდივიდის საჭიროებით გამოწვეული ინდივიდუალური მიდგომების დანერგვის მნიშვნელობაზე.

აღნიშნული პროგრამის პილოტირებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2015 წლის ოქტომბრიდან დაიწყებს.

**ლია გიგაური**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების განათლების საქმეში მშობლის როლი განუზომელია. ნორვეგიის მთავრობის დახმარებით, იწყება მშობელთა განათლების პროგრამა, რომელიც მათ გაუჩენს მოტივაციას, ისწავლონ ჟესტური ენა, ჩაერთონ შვილის ცხოვრებაში. რაც მთავარია, ის ემოციური ბმა, რაც აუცილებლად უნდა არსებობდეს მშობელსა და შვილს შორის, დიდწილად განაპირობებს ბავშვის აკადემიურ მიღწევებს. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით იმუშავებენ ფსიქოლოგები და შემუშავდება სპეციალური პროგრამები.“*

**კარი ბრუსტარი**, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენელი: *„შეხვედრაზე საუბარი იყო მშობლებისთვის ჟესტური ენის შესწავლის მნიშვნელობაზე. როდესაც ბავშვები სკოლაში ჟესტურ ენას სწავლობენ, მშობლებმაც უნდა შეძლონ ამ ენაზე საუბარი, რომ შვილებს სწავლის პროცესში დაეხმარონ. დღეს ასევე ვისაუბრეთ შესაბამის ერთობლივ პროგრამებზე, რომლებიც მშობლებს სწავლის პროცესში ჩართვის და ჟესტური ენის შესწავლის საშუალებას მისცემენ.“*

იუბილე

# ქუთაისის მე–17 საჯარო სკოლა 117 წლისაა

1898 წელს სპეციალური რეკლამები იუწყებოდნენ: *„მთავრობის ნებართვით ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, ალ. ჭყონიას სახლში, პირველი სექტემბრიდან დაარსდა ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. საჭირო ცნობის მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ ლიდა ანჯაფარიძეს, ან მარიამ ყაუხჩიშვილს“.*

1903 წელს მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი მარიამ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობაში გადავიდა. მისი პირადი შუამდგომლობითა და სკოლაში სასწავლო პროცესის სანიმუშოდ დაყენებით, 1908 წელს, პროგიმნაზია პირველხარისხიანად გადაკეთდა. მას მიემატა მე-5 და მე-8 კლასები და სრული გიმნაზიის სახე მიიღო. მთავრობის კომისიამ სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო, სასწავლებელი სრულუფლებიან კერძო გიმნაზიად დაამტკიცა და მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი მიანიჭა.

პროგიმნაზია, 1903 წლიდან, თბილისის ქუჩაზე, პეტრე გოკიელის სახლში ფუნქციონირებდა. ხოლო შემდეგ, ქუთაისში მცხოვრები ქართველი კათოლიკეების დახმარებითა და ბანკიდან აღებული სესხით, მარიამმა ქალაქის ცენტრში შეიძინა ორსართულიანი შენობა დიდი ბაღით (ამ შენობაში, საბჭოთა პერიოდში, განთავსებული იყო ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი).

აი, რას იგონებს გიმნაზიის კურსდამთავრებული **ფატი ხუნდაძე**: *„არასოდეს დამავიწყდება ის დიდი სიხარული, კმაყოფილება და ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი, როდესაც პირველად შევდგი ფეხი სკოლის შენობაში. როგორც თავისი არქიტექტურული თავისებურებით, ისე სიდიდით და შესანიშნავი ბაღით ეს შენობა განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველა დანარჩენი, მის მეზობლად მოთავსებული ნაგებობიდან“.*

მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქალთა გიმნაზია ასეულობით ახალგაზრდამ დაამთავრა. პირველი გამოშვება 1912 წელს იყო, მაშინ სკოლას 35 კურსდამთავრებული ჰყავდა.

იმ წლებში ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე იყო. მარიამ ყაუხჩიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი ქალთა სკოლას წარმოადგენდა, ვაჟებიც ჩარიცხა. გიმნაზიის კარი სწავლას მოწყურებული ყველა ახალგაზრდისთვის ღია იყო. შესანიშნავი ხელმძღვანელი და პედაგოგი, გზას აცდენილი ახალგაზრდებისთვის, ციხე-სიმაგრესავით აღიმართებოდა და იტყოდა: *„უნდა გამოვასწოროთ, არ უნდა მივცეთ ქუჩას, მისგან კარგი მოქალაქე უნდა გამოვიდეს“.* ამიტომ ქუთაისელები მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლას მოსწავლეების გამოსასწორებელ სკოლას ეძახდნენ. სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს გიმნაზია ერთადერთი იყო, სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. სასწავლო წელი პირველ სექტემბერს იწყებოდა და 31 მაისს მთავრდებოდა. ტარდებოდა მისაღები და ჯგუფიდან ჯგუფში გადასაყვანი გამოცდები, გამოსაშვებ გამოცდებს კომისია იბარებდა. რადგან სასწავლებელი კერძო იყო, გამოსაშვები გამოცდები, ოფიციალური პროგრამით, ვაჟთა გიმნაზიაში ტარდებოდა.

გოგონები უჯრედოვანი ქსოვილის კაბებს იცვამდნენ და ზედ ყავისფერ წინსაფრებს იკეთებდნენ. ფონდში დაცული, სკოლის ცხოვრების ამსახველი, ათეულობით ფოტოსურათი, რომლებიც ერთგვარ რელიკვიად იქცა, კარგად გვიჩვენებს სახალხო განათლების საუკეთესო ტრადიციებს ჩვენს ქალაქში.

მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში აღზრდის ორიგინალური მეთოდები იყო. აქ ბავშვებს კი არ სცემდნენ, არამედ ზრდიდნენ დარწმუნებით, პირადი მაგალითით, შთაგონებით. ამ სკოლიდან არც ერთი მოსწავლე არ გარიცხულა. სასწავლებლიდან გარიცხვას მარიამი პედსაბჭოს სისუსტედ თვლიდა. კარგი სწავლისა და დისციპლინისთვის ბავშვებს წიგნებით აჯილდოვებდნენ, მიჰყავდათ თეატრში. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ მოსწავლეთა მშობლებთან. უფროსი კლასის მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ რეფერატებს, მართავდნენ დისკუსიებს, აწყობდნენ ექსკურსიებს, უშვებდნენ ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს. გიმნაზიას მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა – რუს, ევროპელ და ქართველ კლასიკოსთა ჩინებულ გამოცემებს გვერდს უმშვენებდა საბავშვო ლიტერატურის იშვიათი ფონდი.

მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქალთა კერძო გიმნაზიამ 1921 წლამდე იარსება. ამის შემდეგ, ჯერ შრომის სკოლად გადაკეთდა, 1938-1939 სასწავლო წლიდან – მე-17 სკოლად. 1964 წლიდან მე-17 სკოლას და ქუჩას, რომელზეც სკოლა მდებარეობდა, მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი მიენიჭა. 1980 წლიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, მე-17 საშუალო სკოლამ სრული შემადგენლობით – მოსწავლეთა იმჟამინდელი კონტიგენტითა და თანამშრომლებით – ფუნქციონირება მისთვის სპეციალურად ახლად აშენებულ სკოლის შენობაში, ნიკეას ქუჩის 44-ში განაგრძო. 2006 წლიდან – სსიპ ქალაქ ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლად იწოდება.

დაუვიწყარი იქნება ჩემთვის 2015 წლის 19 მაისი, როდესაც სკოლის იუბილეზე მე-17 საჯარო სკოლას ვეწვიე. მეგონა ერთ-ერთ ევროპულ სკოლაში ვიმყოფებოდი. ეზოში გამოფენილმა არაჩვეულებრივმა, უცნაურმა სანახაობამ, ულამაზეს კოსტიუმებში მორთულმა მოსწავლეებმა, ეთნოგრაფიული გამოფენის მასპინძლებმა, სპორტსმენებმა, სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე მომღერალმა მოსწავლეებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება. დიდი ხანია, ამდენი ბედნიერი სახე ერთად არ მეხილა. ვესტიბიულში არაჩვეულებრივი ატმოსფერო დამხვდა – მრავალფეროვანი და მრავალმხრივი აქტივობებისა და პროექტების ზეიმი, რომელშიც ჩართული იყვნენ მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები.





**ხათუნა ჩხეტიანი**, ისტორიის მასწავლებელი: *„2015 წლის 19 მაისს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლამ საზეიმოდ აღნიშნა იუბილე – დაარსებიდან 117 წელი. იუბილესათვის მზადება საინტერესოდ წარიმართა, აღნიშნულ პროცესში სკოლის თითოეული კათედრა იყო ჩართული. პედაგოგებმა, მოსწავლეებთან ერთად, მათი ინტერესების გათვალისწინებით, შეიმუშავეს სხვადასხვა აქტივობები. დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, იუბილესათვის სამზადისს ხელმძღვანელობდა უაღრესად გამოცდილი პედაგოგი, გეოგრაფიის მასწავლებელი ქალბატონი* ***რუსუდან ქემოკლიძე****. ისტორიის პედაგოგებთან –* ***სოსო ცქიფურიშვილთან, მანანა ტყეშელაშვილთან*** *და* ***ჯონი ბოჭორიშვილთან –*** *ერთად ვეწვიეთ ქუთაისის ეროვნულ არქივს და არქივის დირექტორის,* ***მერაბ კეზევაძის*** *თანადგომით, უაღრესად საინტერესო მასალები მოვიპოვეთ. იუბილეზე მოწვეული იყვნენ: მარიამ ყაუხჩიშვილის დის შვილიშვილი, კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი* ***მერაბ კოკოჩაშვილი****, სკოლის კურსდამთავრებულები; საქართველოს დამსახურებული ფეხბურთელი* ***რევაზ ძოძუაშვილი****; ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში* ***რიჩარდ ნორლანდი****, მეუღლესთან ერთად; ქალაქ ქუთაისის მერი* ***შოთა მურღულია****; იმერეთის გუბერნატორი* ***გივი ჭიჭინაძე****; სასულიერო პირები, ვატიკანის საელჩოს წარმომადგენლობა; ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე* ***თეიმურაზ ლანჩავა****; მე-17 სკოლის ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი* ***ვენერა კუხიანიძე****“.*

**ვენერა კუხიანიძე-თაბაგარი**: *„მე-17 სკოლაში ინგლისურ ენას 1953 წლის პირველი სექტემბრიდან ვასწავლიდი. სკოლის იმჟამინდელი დირექტორი გახლდათ ბატონი* ***არჩილ კახაია****, შემდეგ –* ***თეიმურაზ კოკოჩაშვილი, გურამ სიხარულიძე, მიხეილ არახამია****. მართლაც დიდი სირთულეები დავძლიეთ ამ პერიოდის განმავლობაში. არ გვქონდა საკმარისად სასკოლო ინვენტარიც კი, მაგრამ საქმისადმი ერთგულებამ, შრომისმოყვარეობამ, ურთიერთპატივისცემამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა მალე გამოიღო შედეგი და სკოლა, ქვეყნის მასშტაბით, სანიმუშო გახდა. თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომით ბევრი ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე დაგვიყენებია სწორ გზაზე. ჩემი დიდი სურვილია, რომ ახლანდელმა პედაგოგებმა არ შეასუსტონ ის დიდი შემართება და საქმისადმი ერთგულება, რომელიც ახასიათებდა ჩვენი თაობის პედაგოგებს და რამაც ჩვენი საამაყო აღზრდილების სახით გამოიღო ნაყოფი“.*

საზეიმო განწყობა სკოლაში დილიდანვე იგრძნობოდა. საგაკვეთილო პროცესის დამთავრებისთანავე, ეზოში განთავსდა მაგიდები, სპორტული ლეიბები. კლასებმა მათთვის განკუთვნილ ადგილებზე დაიწყეს სამზადისი. სპორტულ მოედანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოასპარეზე მძლეოსნები (მასწავლებელი – **დავით აფრიდონიძე**), VI[1] კლასმა (დამრიგებელი – **ბელა გელხვიიძე**) მცირე ეთნოგრაფიული გამოფენა მოაწყო. ბავშვებმა ოჯახებში მოიძიეს და წარმოადგინეს ტრადიციულ ქართულ სუფრაზე ოდითგანვე გამოყენებული თიხისა და კერამიკის ჭურჭელი, საგანგებოდ ამ დღისთვის შეისწავლეს ამ ჭურჭლის დამზადებისა და გამოყენების ტექნოლოგია, იქვე გამოაცხვეს კეცის მჭადი, ხაჭაპური, მოამზადეს ქოთნის ლობიო და სტუმრებს ქვევრიდან ამოღებული ქართული ყურძნის ბადაგით გაუმასპინძლდნენ. ფანდურისა და დოლის თანხლებით, ეროვნულ სამოსში გამოწყობილები, ტრადიციულ ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს ასრულებდნენ.

მეორეკლასელებმა (დამრიგებელი – **მაკა ლაღაძე**) ქართული სამზარეულო წარმოადგინეს; პირველკლასელებმა (დამრიგებელი – **ხათუნა გუმბერიძე**) ეზოში თათარა მოადუღეს, ჩურჩხელები ამოავლეს და გასაშრობად გამოფინეს, ხოლო I[5] კლასმა (დამრიგებელი – **ციური კრავიშვილი**) მოამზადა მუსიკალური ნომერი „ფაიფურის თოჯინები“; მე-7 კლასელები, მოლბერტებზე, პეიზაჟებს ხატავდნენ; I[1] კლასმა (დამრიგებელი – **მანანა ორბელაძე**) ლიტერატურული კომპოზიცია „ნახვამდის დედაენა“ შესთავაზა სტუმრებს; III[2] კლასმა (დამრიგებელი – **ქეთევან ჩაჩხიანი**) განახორციელა პროექტი „წიგნი ჩემი მეგობარია“. ბავშვებმა წაკითხული წიგნების პრეზენტაციები გამართეს და ნაწარმოებების გმირები გააცოცხლეს; IV[1] კლასმა (დამრიგებელი – **მედეა ადეიშვილი**) „ვეფხისა და მოყმის“ იმპროვიზაცია გაითამაშა.

მათემატიკის კათედრამ, **ლეილა ბარბაქაძის** ხელმძღვანელობით, გეომეტრიული სხეულების და ორიგამების გამოფენა წარმოადგინა, ასევე, ყვავილების გამოფენა-გაყიდვა.

სასკოლო აქტივობებში, სტუდენტებთან ერთად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩაშენებული სისტემების სპეციალისტები – **თეიმურაზ სახელაშვილი** და **გიორგი ჩაჩუა** – მონაწილეობდნენ. მათ რობოტოტექნიკის გამოფენა წარმოადგინეს.

**თეა ბარდაველიძე**, ინგლისური ენის მასწავლებელი: *„აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლის იუბილესთან ერთად, ქუთაისში ამერიკის კუთხის დაარსებიდან 3 წლის იუბილეც აღინიშნა. ამ დღეს IV[1] კლასის მოსწავლეებმა*

→ 10





## იუბილე





*(დამრიგებელი –* ***მედეია ადეიშვილი****, პროექტის ხელმძღვანელი – ინგლისური ენის პედაგოგი* ***თეა ბარდაველიძე****) პროექტის „პატარა შემოქმედი თარჯიმნები“ პრეზენტაცია გამართეს ქუთაისის ამერიკის კუთხეში. სათარჯიმნო კლუბის „SMART“-ის წევრებმა ამერიკის ელჩს,* ***რიჩარდ ნორლანდს*** *და საელჩოს სხვა წარმომადგენლებს, ქალაქის მერს, გუბერნატორს და დამსწრე საზოგადოებას კლუბის მიერ ნათარგმნი წიგნები წარუდგინეს, რომელთა ნაწილი გაიგზავნება ამერიკის შეერთებული შტატების ოჰაიოს შტატის წმინდა პავლეს სახელობის სკოლაში, რომლის მეოთხეკლასელები ჩვენს სკოლასთან არიან დამეგობრებულები. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა გულთბილად მოგვილოცეს სკოლის იუბილე“.*

სკოლაში მოწვეულ სტუმრებს მეგზურობას უწევდნენ და სკოლის ისტორიაზე ესაუბრებოდნენ მე-17 სკოლის მოსწავლეები – **ანა დანელია** და **ნინი კოპალაძე**.

სტუმართა საზეიმო განწყობაზე ზრუნავდა ნიღბების თეატრი „მოდუსი“. მოწვეულმა სტუმრებმა ფოიეში სკოლის ისტორიის ამსახველი (1898 წლიდან დღემდე) უნიკალური ფოტოგამოფენა დაათვალიერეს.

ქუთაისის მერმა და გუბერნატორმა საზეიმოდ გახსნეს პირველი დირექტორის, მარიამ ყაუხჩიშვილის ბიუსტი, რომელიც საქართველოს მხატვართა კავშირის წევრმა, ცნობილმა ქუთაისელმა მოქანდაკემ **გიორგი კიკვაძემ** შექმნა. ბიუსტის გახსნამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო მე-17 სკოლის მთელ კოლექტივსა და პირადად დირექტორს – ქალბატონ ირინეს.

სასკოლო ღონისძიების პირველი ნაწილი დასრულდა თამარ გვერდწითელის სიმღერით „საქართველო“ და ზეცაში აეშვა საჰაერო ბუშტები.

**რუსუდან ქემოკლიძე**, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, გეოგრაფიის მასწავლებელი: *„ჩვენი ფიქრი, ზრუნვა და ოცნება ყოველთვის სკოლის გარშემო ტრიალებს. საგაკვეთილო პროცესებთან ერთად აქტიურად ვართ ჩართული მრავალ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში. მიმდინარე წლის აქტივობათა შორის განსაკუთრებული იყო სკოლის იუბილეს აღნიშვნა, რომლის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეების, მშობლებისა და, ზოგადად, საზოგადოებისათვის გაგვეცნო, საიდან მოვედით დღემდე. სკოლის დირექტორი, ქალბატონი ირინე უდიდესი ენთუზიაზმით, დაუღალავი ენერგიითა და შემართებით, კოლექტივთან ერთად, შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ჩვენი მოსწავლეები დამსწრე საზოგადოების წინაშე არაჩვეულებრივი სანახაობით, მუსიკალური, შემეცნებითი და თეატრალიზებული ნომრებით წარსდგნენ. აქვე გაიმართა მეთორმეტეკლასელთა გაცილება და მომავალ პირველკლასელთა შეხვედრა პირველ მასწავლებელთან. №17 საჯარო სკოლამ თავის 117-წლიან ისტორიას კიდევ ერთი დაუვიწყარი ფურცელი შემატა“.*

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „გუშინ დღეს, ხვალ...“ (რეჟისორი – **კახაბერ გოგოლაშვილი**). **ანა ჯგერენაიამ, თამარ სიხარულიძემ, ქეთი ნარჩემაშვილმა** და სკოლის გუნდმა, სიმფონიურ ორკესტრთან და ჯაზ-ბენდთან ერთად, ქართული და უცხოური ნაწარმოებები შეასრულა. კომპოზიციას აკომპანემენტს უკეთებდა **ნიკა ნიქაბაძე** და სიმებიანი კვარტეტი. გუნდს დირიჟორობდა მე-17 საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი **ნუნუ სეხნიაშვილი**, აკომპანიატორი – **ნანა ყურაშვილი**.

**ნუნუ სეხნიაშვილი**: *„მე-17 საჯარო სკოლაში მუშაობა 2008 წლიდან დავიწყე, სკოლაში დამხვდა ჯანსაღი ატმოსფერო, მუშაობისათვის არაჩვეულებრივი პირობები. გაჩნდა იდეა, სკოლაში შექმნილიყო მოსწავლეთა მუსიკალური შერეული გუნდი. ამ იდეის განხორციელების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისურის კათედრის პედაგოგს,* ***ზურა მუშკუდიანს****. გუნდში 30 მოსწავლე ირიცხება – 20 გოგონა და 10 ვაჟი. მუსიკის მასწავლებელ* ***თამილა ჯავახაძესთან*** *ერთად, დავიწყეთ პროფესიული დონის სავარჯიშოების გამღერება, ბავშვებს არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები, მუსიკის წვდომის და ნაწარმოების ხასიათის გაგების უნარი აღმოაჩნდათ. უდიდესი იყო მათი სიხარული და მონდომება სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მუშაობის პროცესში. სკოლის საიუბილეო საღამოზე შევასრულეთ ინგლისური და ქართული ნაწარმოებები. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექტორს, ქალბატონ ირინე ჯგერენაიას, რომელმაც ასე კარგად წარმოაჩინა გუნდის აკადემიური სახე. ჩემთვის დაუვიწყარი იქნება საიუბილეო საღამოზე ამერიკის ელჩისა და მისი მეუღლის მობრძანება, ბატონმა რიჩარდმა, სიტყვის დასასრულს, ქართულ ენაზე გადაუხადა მადლობა მე-17 საჯარო სკოლას და ბავშვებთან და ჯაზ-ბენდთან ერთად შეასრულა სიმღერა „Go Down Moses“.*

**რიჩარდ ნორლანდი**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში: *„ვერ გადმოგცემთ სიტყვებით, რაოდენ დიდი პატივია ჩემთვის და ჩემი მეუღლე მერისთვის, თქვენთან ერთად ვიყოთ და ვიზიარებდეთ ამ დიდ სიხარულს. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლასთან. დღევანდელი წარმოდგენა განსაკუთრებულია, ვინაიდან დღეს სცენაზე ამ ქვეყნის მომავალია – ესოდენ ნიჭიერი, ამბიციური, ემოციური, ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები. საქართველოს მომავალი ნამდვილად საიმედო ხელშია.*

*ამ ზაფხულს მე და მერი ვტოვებთ საქართველოს. შეგვიძლია პირობა მოგცეთ, რომ სკოლა №17 არასოდეს დაგვავიწყდება. ირინა, თქვენ აგრძელებთ ძალზე საპატიო ტრადიციებს, მიიღეთ ჩემი პატივისცემა ამის გამო. გილოცავთ, დიდი მადლობა“.*

სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს ქუთაისის მერმა, **შოთა მურღულიამ** სკოლის მიერ შექმნილი მედლები გადასცა. *„ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, მსურს გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ და მოგილოცოთ შესანიშნავი საიუბილეო თარიღი – სკოლის დაარსებიდან 117-ე წელი. ნამდვილად შთამბეჭდავი თარიღია, რომელსაც არაჩვეულებრივი მიღწევებით შეხვდით. ამაში არაერთხელ დავრწმუნდით თქვენ მიერ განხორციელებული პროექტებისა და საზეიმო სასკოლო აქტივობების მაგალითზე. ზემოთ თქმულის დასტურია იუბილეზე წარმოდგენილი უნიკალური ფოტოები და ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ასახავს სკოლის ისტორიას, 1898 წლიდან დღემდე.*

*ასეთი ღონისძიებები, ორგანიზებული შეხვედრები ახალგაზრდა თაობის, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების საუკეთესო მეთოდია. საამაყოა, რომ ამ მხრივ სკოლის მუშაობა საქართველოში ინოვაციურია და ჩვენს მშობლიურ ქალაქში მე-17 საჯარო სკოლის აქტიური ჩართულობით ინერგება. გისურვებთ წარმატებებს“.*

**ირინე ჯგერენაია**, სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის დირექტორი: *„2015 წლის 19 მაისს საზეიმოდ აღინიშნა სკოლის დაარსებიდან 117-წელი. საუკუნოვანი დუმილის შემდეგ, ჩვენ გამოვხატეთ მადლიერება სკოლის დამაარსებლის, ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი განმანათლებლის, პედაგოგის, მარიამ ყაუხჩიშვილის მიმართ. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სხვისი შვილების აღზრდასა და გაკეთილშობილებას მიუძღვნა. ვამაყობთ, რომ საუკუნის წინანდელი პრინციპული, ფუნდამენტური ღირებულება – მოსწავლეზე და მის საჭიროებაზე ზრუნვა – დღესაც ჩვენი სკოლის აზროვნების, ფილოსოფიის და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.*

*რადგან არ არსებობს მომავალი წარსულის გარეშე, გავბედეთ წარსული გაგვეცოცხლებინა, საზოგადოებამდე მიგვეტანა და გვეთქვა, რომ უცვლელი დარჩა ერთგულება განათლების, ტრადიციის, ერთსულოვნების, სულიერების, მოქალაქეობის, პატრიოტიზმის, პლურლინგვური განათლების, ჯანსაღი ცხოვრებისა და მშობლიური ენისადმი. ამ ღირებულებებით ვუერთდებით მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეს.*

*სკოლას ბევრი ღირსეული კურსდამთავრებული ჰყავს. პირველი გამოშვება 1912 წლით თარიღდება, წელს 103-ე გამოშვებაა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ ყველასთან დაკავშირება, რამაც შეიძლება მათი გულისწყვეტა გამოიწვია. ვამაყობთ, რომ ისინი საუკეთესო მოქალაქეები არიან. უახლოეს მომავალში დაიწყება მუშაობა წიგნზე, რომელშიც, ისტორიულ საკითხებთან ერთად, კურსდამთავრებულების მიღწევებიც აისახება“.*

**ლია გაბუნია**
**პროფესორი**


**მასწავლებლის ბიბლიოთეკა**



### მასწავლებლის სამუშაო რვეული

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი



### დამრიგებლის პორტფოლიო

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი



განახლებული

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23



### მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



### კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი



განახლებული

### მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მხატვრული ლიტერატურა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



*თითო ტომის ფასი 14 ლარი*

---



## თამაზ ვასაძე

### კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

*12 ლარი*

---



## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

*სერიიდან ინტელექტი სკოლას*

ფასი – 15 ლარი

---





წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



*სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

10 ლარი

---



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

**თითოეულის ფასი – 7,30 ლარი**

---

## საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები

ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

---

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

*ფორმატი A2 (42X59.4 სმ)*

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

### მაღალი კლასებისთვის

*ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)*

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

### რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

**მითითებულია ერთი ცალის ფასი**

# IMBA – მენეჯმენტისა და ბიზნესის საერთაშორისო კონფერენცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ესპანეთის, ყაზახეთისა და მოლდოვეთის შემდეგ, მენეჯმენტისა და ბიზნესის საერთაშორისო კონფერენციას საქართველომ, კერძოდ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

კონფერენციის მთავარი მიზანი მენეჯმენტისა და ბიზნეს ადმინისტრირების ახალი მეთოდების შესწავლა, დარგის სპეციალისტებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამეცნიერო კავშირების გაღრმავება იყო.

IMBA (international conference of economics and business), ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. როგორც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, ქვეყნებსა და უნივერსიტეტს, გამოკითხვის საშუალებით, თავად მონაწილეები ირჩევენ.

*„ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ტრანსფორმაციისა და დესტაბილიზაციის პროცესში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგომარეობას დაეთმო. პოლონელი სპეციალისტები დაინტერესდნენ ამ კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობითა და დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით.*

*საერთაშორისო მენეჯმენტის ფონდის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, კრაკოვის ბიზნეს სკოლის, პოზნანისა და კრაკოვის ეკონომიკური უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, აღმოსავლეთ ევროპიდან და პოლონეთიდან საუკეთესო პროფესორები ჩამოეყვანათ საქართველოში. მათ ჰქონდათ მისია, შეხვედროდნენ ქართველ მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ბიზნესის პროფესორებს, მათთან ერთად ემსჯელათ და წარმოედგინათ უახლესი კვლევები. კონფერენციის ფარგლებში სპეციალისტებმა ერთად განიხილეს დარგის პრობლემატიკა. თავის მხრივ, პოლონელებს ქართველმა პროფესორებმაც გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება.*

*ზოგადად, ჩვენ ვიცით, რომ დესტაბილიზაცია მთელ მსოფლიოს ეხება. რას აკეთებს ამ დროს მენეჯერი, ბიზნესმენი და დარგის სპეციალისტი? როგორ ეხმარებიან ისინი პრობლემების გადაწყვეტაში კომპანიებსა და კორპორაციებს? მთლიანობაში, ამ კითხვების მთავარი სამიზნე საქართველო-პოლონეთი იყო. უპირატესობის მიზეზი კი შემდეგია: პოლონეთში დღეს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკაა, საქართველო კი – ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანა ამ კუთხით.*

*რაც შეეხება უნივერსიტეტს, მონაწილეებმა გამოიკვლიეს გარემო და აარჩიეს ყველაზე სწრაფად განვითარებადი უმაღლესი სასწავლებელი“.*

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 50-მდე უცხოელ და 10 ქართველ პროფესორს უმასპინძლა. განხილული თემები, ძირითადად, თანამედროვე სამყაროში დესტაბილიზაციის გამომწვევ მიზეზებს, ორგანიზაციის დონეზე მის სახეებს, ენერგო და ადამიანური რესურსების მართვას, კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის გზებსა და დესტაბილიზაციის პროცესში მენეჯმენტის როლს შეეხებოდა. მონაწილეებმა აღნიშნული საკითხები საქართველოსა და პოლონეთის მაგალითზე განიხილეს.





კრაკოვის ბიზნეს სკოლის რექტორის, **პიოტრ ბულას** თქმით, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უდიდესი სამეცნიერო პოტენციალი აქვს.

*„ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრა და გამოცდილების გაზიარება. ვფიქრობ, დაწყებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც უფრო მეტ გაცვლით პროგრამასა და ერთობლივ კვლევას გულისხმობს,“* – აღნიშნა პიოტრ ბულამ.

ღონისძიება, რომელიც კვლევებისა და იდეების საშუალებით საერთაშორისო კოოპერაციების გაღრმავებას ისახავდა მიზნად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა.

*„თავისთავად, ეს კონფერცია ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი უნივერსიტეტისთვის. პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილ პროფესორებთან პირადი კონტაქტები დავამყარეთ, რაც მომავალ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება,“* – განაცხადა **კახაბერ კორძაიამ**.

ღონისძიებაში კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

*„კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებიც ახლა ვსწავლობთ პოლონეთში. ჩემი აზრით, ეს თანამშრომლობა, პოლონურ და ქართულ მხარეს შორის, დაეხმარება მომავალ სტუდენტებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, ევროპაში გააგრძელონ სწავლა,“* – ასე შეაფასა საერთაშორისო კონფერენცია კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ლანა მირცხულავამ**.

ღონისძიების ოფიციალურ ნაწილს წინ ექსკურსია უძღოდა. პოლონეთიდან ჩამოსულ სტუმრებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მცხეთა, ძველი თბილისი და იქ არსებული ისტორიული ძეგლები დაათვალიერებინეს. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, საქართველოს კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს გასცნობოდნენ.

კონფერენციის მონაწილეებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ, ქართულ მარანში უმასპინძლა. **ვახტანგ წივწივაძემ** სტუმრებს მევენახეობა-მეღვინეობისა და აგროტექნოლოგიის ფაკულტეტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უნივერსიტეტის ეზოში გაშენებული ენდემური ჯიშის ვაზი დაათვალიერებინა. კონფერენციის მონაწილეები ქართულ მარანში ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიას გაეცნენ და ქვევრის ღვინო (საფერავი, ქინძმარაული, რქაწითელი და მუკუზანი), ქართულ კერძებთან ერთად, დააგემოვნეს.

ვახტანგ წივწივაძემ კონფერენცია უნივერსიტეტისათვის დიდ გამოწვევად შეაფასა.

*„ეს კონფერენცია გვაძლევს სტიმულს, ენერგიასა და იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენ ვართ ძალიან ძლიერები. ვამაყობ ამით და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი შრომა არ დაიკარგა. ეს ევროპაში ჩვენი უნივერსიტეტის აღიარების საწინდარია,“* – აღნიშნა კსუ-ს კანცლერმა.

კონფერენცია კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციისა და მართვის კომიტეტის, მენეჯმენტის საერთაშორისო ფონდისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის საერთაშორისო მენეჯმენტის ფაკულტეტის მენეჯერმა და პროფესორმა, **იანუშ ტეჩკემ**, კონფერენციის დასრულების შემდეგ, განაცხადა: *„ბედნიერი ვარ, რადგან კონფერენცია წარმატებული იყო. პოლონელმა და ქართველმა პროფესორებმა განსხვავებული და, ამასთანავე, სერიოზული თემები განვიხილეთ. გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები მნიშვნელოვანია ყველა უნივერსიტეტისათვის. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი კი ამის კარგი მაგალითია“.*

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ დახურვის ღონისძიება გაიმართა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მონაწილეებს, საზეიმო ტორტით, კონფერენციის წარმატებით დასრულება მიულოცა.

**ლიკა ზამბახიძე**





ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK